საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 22 მარტი. 2016 წ. №52 (7944), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ზურაბ აბაშიძე: რუსეთთან დანასისხლად გადაკიდებულ საქართველოში უცხოელი ინვესტორი ან ტურისტი საერთოდ არ ჩამოვა!



როდის აქეთ გახდა პოლიტიკაში ჭკუით მოქცევა საეჭვო ან ცუდი?!

„ვფიქრობ, რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არა აქვს და ყოველთვის უნდა ვილაპარაკოთ იმის მიუხედავად, რამდენად მძიმეც არ უნდა იყოს. გაცილებით მნიშვნელოვანია, ილაპარაკო მაშინ, როცა ვითარება მძიმეა, ვიდრე მაშინ, როდესაც მხოლოდ მეგობრებთან გვაქვს საქმე. ამიტომ დიალოგი პრინციპულად მნიშვნელოვანია და ერთადერთი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ქვეყანა უსაფრთხოდ და მშვიდობიანად შევინარჩუნოთ“, — თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის ეს განცხადება, ალბათ, ერთობ ლოგიკურად აღიქმებოდა, რომ არა მისი უწინდელი გამონათქვამები, როდესაც ევროპას რუსეთთან ომისკენ საჯაროდ აქეზებდა და მოუწოდებდა. უსაფრთხოება რომ გვერდზე გადავდოთ, ამის გამო განსაკუთრებით გააკრიტიკეს ქალბატონი მინისტრი, ბოლოს და ბოლოს, როგორც დედას, ომის დაწყებისკენ მოწოდება არ ეგებისო...

მავანმა იფიქრა, რომ რუსეთს ეს დეტალი გამორჩა და ხიდაშელის ხმაც დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაგრამ ნურას უკაცრავად! პუტინი ასე მარტივად წყენას როდი ივიწყებს. შედეგმაც არ დააყოვნა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა პრაღაში ქართველ ჟურნალისტებს პირდაპირ განუცხადა: „ჩვენ მოთმინებასაც საზღვარი აქვსო“. ამით მიანიშნა მთავრობასაც და ხალხსაც, რომ რუსეთთან დაპირისპირების მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყვება.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოსვლის დღიდან ამტკიცებს, რომ მას მეზობელ ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სურს, სიტყვა „ოკუპანტიც“ თანდათანობით ნაკლები სიხშირით გამოიყენება, რაც ოპონენტებმა „ბაბაიას“ ძახილად მონათლეს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. ჯერჯერობით, ოფიციალური მოსკოვი არც არაფერს ხელშესახებს არ იძლევა, ოღონდ კი, გვპირდება. თუნდაც, გახსნილი ეკონომიკური ბაზრისა და შესაძლო გამარტივებული მიმოსვლის სახით... ესაა და ეს.

მთავრობამ ზურაბ აბაშიძე, როგორც გამოცდილი დიპლომატი, დიდი ენთუზიაზმით დანიშნა სპეციალურ წარმომადგენლად. ჟენევის ფორმატის დიალოგიც განუსაზღვრა, ოღონდ, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე. ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია თავად ზურაბ აბაშიძეს, რომელიც არაეფექტიანი დიალოგის გამო ხშირად გაუკრიტიკებიათ კიდეც. გუშინ ისევ მოუწია გამეორება და იმის აღნიშვნა, რომ **„ეს არის არაფორმალური დიალოგის ფორმატი. იქ მონაწილეები ვალდებულებებს არ ვიღებთ, არც რაიმე დოკუმენტი ფორმდება და დიალოგი მიმდინარეობს თავისუფალ, არაფორმალურ ვითარებაში. ამიტომ ხშირად, როდესაც ისმება კითხვა — რაზე მოილაპარაკეს პრაღაში — არ არის მართებული იმიტომ, რომ იქ ვერაფერზე მოვილაპარაკებთ. ჩვენი მანდატია, ჩამოვიტანოთ ის ინფორმაცია, რაზეც იქნება საუბარი თბილისში ან მოსკოვში და ამის შემდეგ შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით“.**

იხ. 2 გვ.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე – 90

როცა ადამიანი თვითონ წამალია სხვათათვის...

5

ერთ დროს ქრისტეს საფლავის კლიტეებიც გვეპყრა!

12

აბრა პარიზში – „აფხაზეთის რესპუბლიკა“ ჩამოხსნეს

საფრანგეთში საქართველოს საელჩო პარიზში ტურიზმის მსოფლიო სალონის სტენდზე, აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანის წარდგენაზე რეაგირებასთან დაკავშირებით, განცხადებას აკეთებს:

„საქართველოს საელჩომ საფრანგეთში დაუყოვნებლივ მიმართა სალონის დირექტორს, მოსთხოვა აბრის ჩამოხსნა და ფორმულირების შეცვლა, აუხსნა რა მას, რომ სალონის მიერ წარმოდგენილი ფორმულირება აფხაზეთთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება საქართველოს სუვერენიტეტსა და საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პოლიტიკურ პოზიციას, რომელიც უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სეპარატისტული რეჟიმების მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკას.

საელჩოს მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, აფხაზების პროტესტის მიუხედავად, სტენდიდან ჩამოიხსნა აბრა „აფხაზეთის რესპუბლიკა“, სტენდზე დარჩა მხოლოდ რუკა, რომელზეც აფხაზეთი გამოყოფილია, როგორც რეგიონი.

ასევე, დროულად მოხდება ინფორმაციის ჩასწორება საიტზეც. ტურიზმის სალონის დირექტორმა კი ორგანიზატორების სახელით ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ აღნიშნულმა ინციდენტმა პოლიტიკური პრობლემა არ შექმნას.

და ბოლოს, საქართველოს საელჩომ მიმართა სავაჭრო სამრეწველო პალატასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა მომავალში აღარ განმეორდეს მსგავს სალონებში, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობა“, — აცხადებენ საფრანგეთში საქართველოს საელჩოში.

სექსცივილიზაცია

4

ორსქესიანობამ ვერ გაამართლა

ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება ერთსქესიანმა არსებამ განვითარების რაღაც ეტაპზე სულაც კვერცხები დადოს, მოკრუხდეს და შთამომავლობა გამოზარდოს?!

„მომიტანდე, შემასმევდე, იქნებ ცოტა მოვმჯობინდე...“

მოსახლეობამ 2020 წელს აბსოლუტურად სუფთა წყალი უნდა მიიღოს

3

ირანის არჩევნები და საქართველოს პოლიტიკა

7

თაღლითობა სუს-ის უფროსის მოადგილის სახელით...

2

„შპიონისიმო!“

11

სპეცსამსახურების ისტორიიდან

როდის აქეთ გახდა პოლიტიკაში ჭკუით მოქცევა საეჭვო ან ცუდი?!

აბაშიძე-კარასინის დიალოგი მარგველაშვილის კრიტიკის ქარცეცხლში

(პირველი გვერდიდან)

ასეთი კომენტარი გააკეთა დიპლომატმა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა ჟენევის ფორმატი. განსაკუთრებით კი ზურაბ აბაშიძე, რომელმაც თურმე საკადრისი პასუხი ვერ გასცა გრიგორი კარასინს. **„პრაღის ფორმატი დასაზუსტებელია,** – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა, – **პოლიტიკურ თემატიკაზე თუ როგორი უნდა იყოს ქართული მხარის რიტორიკა, კარასინს მე ვერ შევცვლი, აბაშიძე ჩემი წარმომადგენელი არ არის, პრემიერ-მინისტრისაა. მე რომ წარმომადგენელი მყავდეს, ის სხვა ტიპის პასუხს გასცემდა“.**

რბილად რომ ვთქვათ, ეს კრიტიკაზე მეტია, ეს პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ ზურაბ აბაშიძე ადეკვატური არ არის... დიპლომატის პასუხმაც არ დააყოვნა: **„მართალი გითხრათ, პრეზიდენტის განცხადებით გაოცებული დავრჩი,** – აღნიშნა აბაშიძემ მედიასთან საუბარში, – **ძალიან ვწუხვარ, რომ პრეზიდენტი დაეყრდნო არა ქართული მხარის ინფორმაციას, არამედ რუსულ წყაროებს. მას ან მის წარმომადგენლებს ჩვენთვის რომ მოესმინათ, მათ ავუხსნიდი, რომ როცა კარასინმა თავისი განცხადებები გააკეთა, მაშინ მე იმ ადგილას ფიზიკურად არ ვიყავი და ამ განცხადების შესახებ მოგვიანებით შევიტყვე. ამიტომ არ მქონდა საშუალება ჩემი კოლეგისთვის მყისიერად მეპასუხა“.**

აბაშიძე ირწმუნება, რომ ამ საკითხზე აუცილებლად დაელაპარაკება გრიგორი კარასინს... მაგრამ, ამთავითვე ცხადია, ამაში არაფერი იქნება ოფიციალური ან საჯარო. ეს იქნება დიალოგი დიალოგისთვის, პასუხი – პასუხისთვის, რადგან, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აბაშიძე-კარასინის დიალოგი თავისთავად აპოლიტიკურია!

დიპლომატის თქმით, პრაღაში გამგზავრებამდე ის კონსულტაციებს გადის ყველა იმ უწყების წარმომადგენელთან, რომელიც რუსეთის საკითხებთან შემხებლობაშია, მათ შორის პრეზიდენტის წარმომადგენელთან, ხოლო შეხვედრის შემდეგ დეტალურ ინფორმაციას თხუთმეტამდე უწყებას უგზავნის.

საპარლამენტო უმრავლესობა, გიორგი მარგველაშვილის კრიტიკის მიუხედავად, აბაშიძე-კარასინის დიალოგის ფორმატის გადახედვას არ აპირებს. მეტიც, ის შეიძლება გაფართოვდეს კიდეც. ამის შესახებ დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა განაცხადა: **„აბაშიძე უმაღლესი დონის დიპლომატია და ძალიან კარგად ესმის ის საქმე, რაც აქვს დავალებული. ვერ გეტყვით, რა იგულისხმა პრეზიდენტმა ან რაში უნდა იყოს უფრო განსწავლული მისი წარმომადგენელი. რაც შეეხება ფორმატს, ის შესაძლებელია კიდევ უფრო დაიხვეწოს, უფრო მეტად გაფართოვდეს, რაც იმის შესაძლებლობას მისცემს, რომ იქ პოლიტიკური განცხადებებიც გაკეთდეს“.**

ვერ გეტყვით, რამდენად წაადგება სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს პოლიტიკური განცხადებები, მით უფრო, როცა თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია... ან რა ტიპის გზავნილებს უნდა შეიცავდეს აბაშიძის განცხადებები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გამონათქვამების საპირწონედ. თუმცა, უმრავლესობის ნაწილი რომ ჟენევის ფორმატის

გადახალისებაზე მაინც ფიქრობს, ცხადია. თუნდაც ლევან ბერძენიშვილი, რომლის აზრით, **„თუ არ იქნება აბაშიძე-კარასინი, უნდა იყოს სხვა ფორმატი, რადგან დიალოგი აუცილებლად უნდა არსებობდეს. თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ მას უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, არა მგონია, ვინმემ, თუნდაც პრეზიდენტმა ან პარლამენტმა უნდა მიუთითოს მას, რომ არ უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი“,** – ამბობს რესპუბლიკელი.

მართლაც რომ, ცინიკურია, როცა პუტინის გადაწყვეტილებით ე. წ. სამხრეთ ოსეთთან დადებული „ხელშეკრულების“ რატიფიცირების საკითხებში თავის წარმომადგენლად გრიგორი კარასინს ნიშნავს. მაგრამ, დიპლომატია ხომ თავის მნიშვნელობით სწორედ ის არის, რომ ამგვარ გამოწვევებთან გამკლავება და ვითარების ლავირება შეძლოს, მაგალითად, პარლამენტარ ზაქარია ქუცნაშვილს აბაშიძის პროფესიონალიზმში ეჭვი სულაც არ ეპარება. **„ის, რომ კარასინი ბრაზობს, ხოლო აბაშიძე აკადემიურად იქცევა, ნიშნავს, რომ აბაშიძე უფრო მაღალი დონის დიპლომატია!“,** – ამბობს ის.. **„მადლობა ღმერთს, ჩვენ ეს ფორმატი გვაქვს. პრობლემა ჟენევის ფორმატში არ არის. იქ ხელი არაფერს ეწერება, არამედ განიხილება აქტუალური საკითხები. ეს ფორმატიც რომ არ იყოს, სად უნდა განვიხილოთ?“** – განუცხადა ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა და კარიბის კრიზისი მოიყვანა მაგალითად, როცა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კონტაქტი გაწყვეტილი იყო და ჟურნალისტებს ეძებდნენ ინფორმაციის გასაცვლელად, იმის გასაგებად, რა ხდებოდა სინამდვილეში.

ზურაბ აბაშიძეს დიპლომატიას უწუნებს ოპოზიცია. მათ შორის ირაკლი ალასანია. **„უკვე ორი წელიწადია, პრაღის ფორმატის დღის წესრიგში ახალი პოზიტიური საკითხი არ გაჩენილა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ როგორც აბაშიძე-კარასინის, ასევე ჟენევის ფორმატები გადახედვას საჭიროებს. თუმცა, ასე ხელაღებით ამ ფორმატების დაშლა წარმოუდგენელი და არასწორია. ამას სჭირდება პროფესიონალური, დაგეგმილი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა. როგორც ჩანს, ასეთს ადგილი არა აქვს დღევანდელ ხელისუფლებაში“,** – აცხადებს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

არადა, თავად აბაშიძე, როგორც გამოცდილი დიპლომატი, რუსეთთან დაძაბულობის შემცირებას სწორედ შიდა პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად მიიჩნევს. **„დაძაბულობის შემცირება ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის ფაქტორადაც იქცა. რუსეთთან დანასისხლად გადაკიდებულ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი ან ტურისტი არ ჩამოვა. ეს რეალობაა. რუსეთთან დიალოგმა საშუალება მოგვცა, წარმატებით გვევლო ევროინტეგრაციის გზაზე. მალე მივიღებთ ვიზალიბერალიზაციას. რუსეთთან დიალოგი ამ მიღწევების მნიშვნელოვანი ნაწილია. ასე ხედავენ ამას ჩვენი დასავლელი პარტნიორები“,** – ამბობს დიპლომატი.

ქვეყნის გარეთ კი, მაგრამ ასე ვერ ხედავენ ქვეყნის შიგნით მოღვაწე „პრაგმატიკოსები“, რაც ამწვავებს და ძაბავს კიდეც რუსეთთან ურთიერთობებს. „რუსეთთან ურთიერთობაში ჭკუით უნდა მოვიქცეთ“, – ზურაბ აბაშიძის ჟურნალისტებისთვის ნათქვამი ეს ფრაზა, რატომღაც მიუღებული აღმოჩნდა ჩვენი ლიბერალი პრეზიდენტისთვის, რის გამოც ის გააქილიკა... კი მაგრამ, **„როდის აქეთ გახდა ჭკუით მოქცევა პოლიტიკაში საეჭვო ან ცუდი?“** – გულწრფელად იკითხა დიპლომატმა.

რაღაცები სერიოზულად ეშლება მარგველაშვილს. ეტყობა, მისთვის ჭკუით მოქცევა ისეთივე არამოდურია პოლიტიკაში, როგორი არამოდურიცაა სექსში!!!

თეა მოსია

„მაესტრო“ გაუთავებელ დავებს არ უნდა გაძღა ვეს!

ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებლები მაკა ასათიანი და გია გაჩეჩილაძე ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„მიუხედავად რამდენიმეთვიანი დაპირისპირებისა, „მაესტროს“ დამფუძნებლები შევთანხმდით შემდეგ საკითხებზე:

ლოგო და სახელი დაუბრუნდეს ეთერს;

მხარეებმა შეწყვიტონ საჯარო განცხადებების გაკეთება მოლაპარაკების დასრულებამდე;

მოლაპარაკების პერიოდში ვიწყებთ კონსულტაციას ტოპ მენეჯმენტის ერთობლივად ფორმირებაზე;

უმოკლეს ვადაში მოხდეს მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა;

მოლაპარაკების პერიოდში დროებით ადმინისტრატორებად დაინიშნოს ორივე მხარის წარმომადგენელი, ყოფილი ფინანსური დირექტორი თემურ გაჩეჩილაძე და გია გაჩეჩილაძის ფინანსური კონსულტანტი ზვიად ზუბიაშვილი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მოლაპარაკება ჩიხში არ შევა და ყველა მხარე გამოიჩენს სურვილს და კეთილგონიერებას იმასთან დაკავშირებით, რომ დავას არ გადაჰყვეს ტელევიზია და, რაც მთავარია, თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ უწყვეტ მაუწყებლობას“, – ნათქვამია განცხადებაში.

მთავარი ნაცი თანამოძმეებს „ბრძნულ“ რჩევებს აძლევს

ოდესის გუბერნატორი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი facebook-ის მეშვეობით ენმ-ს რჩევას აძლევს:

„ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის იყო ახალი ტენდენციების საფუძვლის ჩამყრელი და ახლაც უნდა გამოვიდეს რამდენიმე ახალი ინიციატივით, რომელთაგან პირველი შეიძლება იყოს სრული პარიტეტის დაწესება ქალბატონებისთვის. საერთო განახლების ფარგლებში წინასწარ ფამოვაცხადოთ, რომ პარტიის საპარლამენტო არჩევნების სიებში კანდიდატთა 50 პროცენტი იქნება ქალი.

ჯერ ერთი, ამით ხაზი გაესმება ქალების როლს ქართველ საზოგადოებაში, ობიექტურად ხელს შეუწყობს განახლებას და უკეთესად მოგვამზადებს ოქტომბრის არჩევნებში გარდაუვალი გამარჯვებისთვის.

დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ გაგვიჭირდება ძალიან ღირსეული ქალი კანდიდატების მოძებნა და მათი ამორჩევა. ამასთან, ამ კანდიდატების საზოგადოებისთვის წარდგენა დროულად უნდა შევძლოთ“, – წერს სააკაშვილი.

თაღლითობა

სუს-ის უფროსის მოადგილის სახელით...

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად თაღლითობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქეები ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯემალ დუაძე მოტყუებით დაეუფლა საქართველოს მოქალაქე ბეჟან დ-ს კუთვნილ ფულად თანხას. 2015 წლის ზაფხულში ბეჟან დ-სთან, ანტიკორუფციული სააგენტოს სახელით, მან მიაგზავნა გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომელიც ბეჟან დ-ს გაეცნო დავით გიორგაძის გვარ-სახელით და განუცხადა, რომ მას თითქოსდა პრობლემები ჰქონდა ანტიკორუფციულ სააგენტოში, მის მიმართ დაწყებული იყო გამოძიება და საქმის მოგვარების სანაცვლოდ 50 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. პარალელურად, ჯემალ დუაძე დაჟინებით ურჩევდა ბეჟან დ-ს მოთხოვნილი თანხის გადახდას, რომელიც, მისი განმარტებით, შემცირდა 30 000 აშშ დოლარამდე. აღნიშნული თანხის დაუფლების მიზნით ჯემალ დუაძე ასევე დაუკავშირდა ბეჟან დ-ს შვილიშვილს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბექა დ-ს, რომელსაც აუხსნა საქმის ვითარება და საკითხის მოგვარების სანაცვლოდ მასაც 30 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა.

2016 წლის 20 მარტს ჯემალ დუაძემ მის მიერ მოთხოვნილი 30 000 აშშ დოლარის თითქოსდა ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებისათვის გადაცემისა და საკითხის საბოლოოდ მოგვარების მიზნით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბექა დ-ს საქართველოში ჩამოსვლა და მასთან შეხვედრა მოსთხოვა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ჯემალ დუაძე დაუკავშირდა ნაცნობს, თაღლითობისთვის წარსულში ნასამართლევ გოგიტა დემეტრაშვილს, რომელსაც გაუმხილა თავისი ჩანაფიქრი და ერთად დაგეგმეს ბექა დ-სთვის მოტყუებით, თაღლითური გზით ზემოაღნიშნული თანხის წაგლეჯა.

20 მარტს დაახლოებით 2 საათზე ჯემალ დუაძე ჩაფიქრებული გეგმის მიხედვით, თბილისის აეროპორტში დახვდა რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულ ბექა დ-ს, წაიყვანა ის ქ. თბილისში, ავლაბრის მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე და შეახვედრა გოგიტა დემეტრაშვილს, რომელსაც ჯემალ დუაძემ წინასწარ უქირავა „მერსედეს S-კლასის“ მოდელის ავტომობილი. გოგიტა დემეტრაშვილმა ბექა დ-ს თავი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ იოსებ გოგაშვილად გააცნო და დაჰპირდა მისი პაპის ბეჟან დ-ს მიმართ თითქოსდა წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, აგრეთვე მომავალში ყოველგვარი პრობლემის მოგვარებას. ამის შემდეგ, იმავე დღეს ჯემალ დუაძემ თითქოსდა იოსებ გოგაშვილისთვის გადასაცემად, ბექა დ-ს ქ. თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში მის მიერ მოთხოვნილი 30 000 აშშ დოლარი გამოართვა. ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი ამ თანხის გამორთმევის შემდეგ დააკავეს.

გამოძიება ჯგუფურად თაღლითობის ფაქტზე მიმდინაროებს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

◎ სამოთხის სითხე

„მომიტანდე, შემასმევდე, იქნებ ცოტა მოვმჯობინდე...“

მოსახლეობამ 2020 წელს აბსოლუტურად სუფთა წყალი უნდა მიიღოს

4 წელიწადში საქართველოს მოსახლეობას აბსოლუტურად სუფთა წყალი უნდა მიეწოდებოდეს. ამას ასოციერების ხელშეკრულება გვაალდებულებს. სასმელ წყალთან დაკავშირებით ეს საკითხი თითქმის მოგვარებულია, მაგრამ რთული ვითარებაა ღია წყალსაცავებისა და გამწმენდი ნაგებობების კუთხით.

„საქართველოს მწვანეები – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელის ნინო ჩხობაძის განცხადებით, ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნის მიხედვით, 2020 წლისთვის საქართველოს მოსახლეობას აბსოლუტურად სუფთა წყალი უნდა მიეწოდებოდეს. ამ დროს საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობები არ გვაქვს და ყველა მდინარე პირდაპირ ბინძურდება.

„სასმელი წყლის შემდეგ, მთავარი ე.წ. საბანაო წყლების ხარისხის დაცვაა, რომელიც არასდროს ყოფილა დაცული ჩვენთან. საქართველო ვალდებული იქნება, ჩაატაროს მუდმივი მონიტორინგი, შეაფასოს და შეისწავლოს ის საკითხები, რომლებიც ყველა ღია წყალსაცავს ეხება, სადაც ადამიანი ბანაობს. აუცილებლად დადგება ლისის ტბის, თბილისის ზღვის, კუს ტბის საკითხი.

რაც შეეხება მთელი ქვეყნის მასშტაბით წყლების დაბინძურებას, ძალიან რთული საკითხია, რადგან ხარისხთან დაკავშირებით მონიტორინგი, როგორც ამას საბანაო დირექტივა ითხოვს, დადგენილი არ არის“, – განაცხადა ნინო ჩხობაძემ და აღნიშნა, რომ საქართველოს საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობების საკმარისი რაოდენობა არა აქვს.

„სულ საკანალიზაციო წყლის სამი გამწმენდი ნაგებობა გვაქვს. ყველაფერი პირდაპირ ჩაედინება მდინარეში. იგივე ხდება ყველა ქალაქში. გამწმენდი გვაქვს თბილისში, რომელიც ბოლომდე ვერ წმენდს (ხშირად კი საერთოდ ვერ წმენდს), ბათუმში ახალი გამწმენდი ნაგებობაა აშენებული და ერთი გამწმენდი ძალიან კარგი ნაგებობა გვაქვს საჩხერეში“, – განუცხადა სააგენტო „მედიანიუსს“ ნინო ჩხობაძემ და აღნიშნა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალია, წყლის თითოეულ ობიექტზე სრულად აღდგეს სანიტარული ზედამხედველობა და საკანალიზაციო მილებზე გაწმენდითი ნაგებობები აშენდეს.

სასმელ წყალთან დაკავშირებით საქართველოში მდგომარეობა უფრო მოწესრიგებულია. ჩვენი ქალაქები მსოფლიოს იმ იშვიათ ქალაქებს შორისაა, რომელთაც სასმელად სრულიად ვარგისი წყალი მიეწოდება. პირდაპირ ონკანიდან წყლის დალევა, ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ აცხადებენ, რომ ნედლ წყალს ჯერ ჟინვალის წყალსაცავში აყოვნებენ, საიდანაც 42 კმ სიგრძის გვირაბული მაგისტრალით წყალი თბილისში ღრმაღელისა და სამგორის სათაო ნაგებობების გავლით ხვდება, კოაგულანტით მუშავდება, ილექება და ბუნებრივი ფილტრების სხვადასხვა შრეებს გადის. ამ წყალს უერთდება არაგვის ხეობის – ნატახტრის, ბულაჩაურის, საგურამოსა და ჭოპორტ-მისაქციელის მიწისქვეშა წყაროების წყლები, იგივე არაგვის ფილტრატები. შემდეგ, სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში ლაბორატორიულად მოწმდება და თბილისის მოსახლეობას მიეწოდება.

„როგორც წესი, თბილისელი მომხმარებლისთვის სასმელი წყლის, როგორც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტის, მიწოდება მხოლოდ ლაბორატორიული კონტროლის შემდეგ ხდება. ეს უწყვეტი ციკლია, რასაც კომპანიის ქიმიურ-მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების სპეციალისტები 24 საათის განმავლობაში ახორციელებენ“, – აცხადებენ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“.

მტკნარი და მინერალური წყლების წარმოება კი უპირველეს პოზიციას იკავებს საქართველოს ეკონომიკაში ისეთი უპირატესობების გამო როგორიცაა: ნედლეულის ბუნებრიობა, სიუხვე, სიიაფე, სტაბილურობა, განახლებადობა, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და, რაც მთავარია დაბანდებული კაპიტალის უკუგების მოკლე პერიოდი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის მქონე ქვეყნების შუაგულში მდებარეობს და წყალზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. სასმელი წყლის რესურსებით საქართველო 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე. ამასთანავე საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელი წყალია.

ბექა დანელია

◎ ეროვნული ვალუტა

ლარი დოლარს დაანოკაუტებს?

ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა პირველად ამოიღო დოლარი მიმოქცევიდან. ლარის თავბრუდამხვევი გამყარების თავიდან ასაცილებლად სებ-ი იძულებული გახდა, ვაჭრობაში ჩარეულიყო. მიუხედავად ამისა, ყველა დარწმუნებულია, რომ დოლარის დასუსტებას ვერაფერი შეაჩერებს. ეს არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო ტენდენციაა.

17 მარტს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 5 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. მიუხედავად ამისა, ლარის გამყარების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ეროვნული ვალუტა მხოლოდ მცირე ხნით გაუფასურდა და შემდეგ ისევ გამყარების გზას დაადგა. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა გარე სავალუტო ბაზარზე. დოლარი ლართან მიმართებაში პოზიციებს ყოველდღიურად თმობს.

რატომ დაიწყო ეროვნულმა ბანკმა დოლარის შესყიდვა? „საზოგადოება და ბანკების“ ანალიტიკოს გივი ადეიშვილის განმარტებით, ეროვნული ბანკის მხრიდან 5 მილიონი დოლარის შესყიდვა გაცვლით კურსზე დიდად არ იმოქმედებს. კურსის მკვეთრი ცვლილება (გამყარება ან გაუფასურება) ზრდის სავალუტო რისკს, ანუ ეს ქმნის სავალუტო ბაზრის მოთამაშეებში უნდობლობას. შედეგად, ეროვნული ბანკის მოქმედებაც აქედან გამომდინარეობს.

გაცვლითი კურსის სწრაფი გამყარებაც ისეთივე პრობლემაა, როგორც გაუფასურება. ეს ფინანსურ ბაზარზე გაურკვევლობას აჩენს. შესაბამისად, გამყარების პროცესიც შედარებით თანაბარზომიერი უნდა იყოს. დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ ლარის გაძლიერებას წინ ვერაფერი დაუდგება.

„პირადი ბანკირის“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ბერძენაძე „კომერსანტთან“ ამბობს, რომ მაისში კურსი 2.15-

2.2-მდე გამყარდება, სექტემბერში კი 2,0-ის ნიშნულს ჩამოსცდება. ბერძენაძე ფიქრობს, რომ რამდენიმე თვის წინათ ეროვნული ბანკი მანიპულირებდა, დღეს კი, როდესაც მანიპულაციები შემცირდა, ბაზარი დასტაბილურდა.

მისი აზრით, ჯერჯერობით სამომხმარებლო ბაზარზე ფასების კლება არა არის მოსალოდნელი, რადგან პროდუქტების საბოლოო ღირებულებაზე მოქმედებს ნავთობპროდუქტების ფასი, რომელიც ბოლო პერიოდში საკმაოდ მზარდია. გარდა ამისა, ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას ელოდება იმისათვის, რომ კონკრეტული ქმედება დაიწყოს.

დოლარი რომ ლართან პოზიციებს დათმობს, ამას უკვე საგარეო ფაქტორებიც ადასტურებს. მსოფლიოს ნომერ პირველმა ვალუტამ უკვე ყველა მიმართულებით დაიწყო შესუსტება.

პესიმისტური განწყობა კი თავისთავად მოქმედებს დოლარის კურსზე. ამერიკის კომერციული დეპარტამენტის ცნობით, ირკვევა, რომ შტატებში დაეცა საცალო გაყიდვის მაჩვენებელი. ამასთან, მოსალოდნელი ზრდის ნაცვლად, შემცირდა სამომხმარებლო ფასები. ეს კი ინფლაციის სამიზნე ნიშნულამდე გასვლას ხელს კიდევ უფრო უშლის.

ნავთობის გაუფასურების ფონზე ენერგოდამოკიდებულმა ვალუტებმაც დაღმავალი ტრენდი განავითარეს. კანადური და ახალ ზელანდიური დოლარი რამდენიმე პროცენტით გაუფასურდა. ნავთობის გაიაფება კი ირანის განცხადებას უკავშირდება, რომელმაც უარი განაცხადა ნავთობის წარმოების მაჩვენებლის გაყინვაზე, სანამ ქვეყანა არ აღიდგენს სანქციებამდე არსებულ ნავთობის წარმოების ნიშნულს.

დანიელ მეგრელაძე

◎ ამერ-იმერი

აჭარული სამზარეულო რუსულ ტელეარხზე

აჭარული სამზარეულოს შესახებ პოპულარული რუსული ტელეარხი „Моя планета“ 30-წუთიან გადაცემას ამზადებს. ტელეარხზე ცნობილი გადაცემის Планета вкусов გადამღები ჯგუფი სამი დღით ბათუმში იმყოფებოდა. მათ აჭარული ხაჭაპურისა და სხვა ცნობილი ადგილობრივი კერძების დამზადების პროცესი გადაიღეს. გარდა ამისა, გაეცნენ აჭარის ტურისტულ პოტენციალს და ფილმში ქალაქის ღირსშესანიშნაობებზეც ისაუბრებენ. დოკუმენტური ფილმის სცენარის მიხედვით გადაცემის წამყვანი ანტონ ზაიცევი მაყურებელს აჭარული ხაჭაპურის, ბორანის, სინორის, კაიმაღლისა და კეფალის აჭარულად მომზადებას ასწავლის და პარალელურად კერძების შექმნისა და ბათუმის ისტორიის შესახებ ესაუბრება. ის ქალაქის სავიზიტო ადგილებიდან აკეთებს ჩართვებს და მაღალმთიან აჭარასაც სტუმრობს, სადაც აჭარული ღვინისა და ჭაჭის დაყენების ტექნოლოგიებს აკვირდება. გადაცემა „Планета вкусов“ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და ბალტიის პირეთში გადაიცემა და არხის 23-მილიონიან აუდიტორიაში პოპულარობით სარგებლობს.

ბათუმი – ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქალაქი

აჭარაში ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის გათვალისწინებით ქალაქი ბათუმი ლიდერობს, რომელზედაც 2015 წელს განხორციელებული კერძო პირდაპირი ინვესტიციების 56 % მოდის. ირკვევა, რომ ინვესტორებისთვის ბათუმის შემდეგ მიმზიდველი შუახევისა (15%) და ხულოს (15%) მუნიციპალიტეტებში ინვესტირებაა. ინვესტიციების 9 % ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე, 4 % – ქობულეთის მუნიციპალიტეტზე, ხოლო ქედას მუნიციპალიტეტზე მხოლოდ 1 %.

შეგახსენებთ, რომ აჭარაში ინვესტიციების მოცულობას ისევ მზარდი ტენდენცია აქვს. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, აჭარაში კერძო პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 33 %-ითაა გაზრდილი. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 366 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კერძო პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 87 მლნ აშშ დოლარი ადგილობრივი წარმოშობისაა, ხოლო 279 მლნ აშშ დოლარი შეადგინა უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა (FDI). 2014 წელს აჭარაში სულ 276 მლნ დოლარის კერძო პირდაპირი ინვესტიციის შემოდინება დაფიქსირდა.

2015 წლის მონაცემებით, აჭარისთვის ნომერ პირველი ინვესტორი ქვეყანა ნორვეგია/ინდოეთი და თურქეთია, მათზე კერძო პირდაპირი ინვესტიციების 39-39% მოდის. ავსტრიაზე – 7%, დიდ ბრიტანეთზე – 5%, აზერბაიჯანზე – 4%, რუსეთზე – 3%, ესტონეთზე – 2%, ხოლო სხვა დანარჩენ ქვეყნებზე კი საერთო კერძო პირდაპირი ინვესტიციების 1%.

საქართველოში უცხოეთიდან ფაბრიკა-ქარხნების გადმოტანა იწყება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე- პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, ევროკავშირის ბაზარზე გასვლის მიზნით, სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების გადმოტანა ხდება. ევროკომისართან ვაჭრობის საკითხებში სესილია მალმსტრომთან შეხვედრის შემდეგ დიმიტრი ქუმსიშვილმა ჟურნალისტებს ინფორმაცია მიაწოდა იმ სარგებელზე, რომელსაც საქართველო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისგან იღებს.

„ერთ-ერთი მაგალითი, რაც ჩვენ ახლა გვაქვს, არის აზიიდან გადმოტანილი. ქვეყანას არ დავასახელებ. ეს არის სპეციფიკური ავეჯის წარმოება, რომელმაც 220 ადამიანი დაასაქმა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით კიდევ არა ერთი შემთხვევა გვექნება“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ᲡᲔᲥᲡᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲝᲠᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲕᲐ, ᲝᲠᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲛᲐᲡ „ᲒᲐᲕᲐᲘᲐᲡᲜᲔᲑᲓᲔ“, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲞᲠᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲒᲐᲣᲮᲣᲜᲐᲠᲘ ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲡ – �პᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ �თᲔᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲡᲥᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲐᲒᲐᲕᲓᲐ. ᲔᲡ ᲩᲐᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲘ�პᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲐ ᲡᲬᲝᲠᲣᲠᲘ ᲖᲔᲕᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲧᲝ – ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲓ. ᲐᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲖᲔᲕᲡᲘ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡ ᲐᲠ-ᲜᲐᲮᲣᲚ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲬᲔᲕᲓᲐ.

ᲖᲔᲕᲡᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲛᲘᲣᲪᲔᲛᲚᲐᲓ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲘ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲓᲠᲝᲘᲡ ᲓᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲝᲔᲫᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲨᲣᲦᲚᲘ, ᲥᲘᲨᲞᲝᲑᲐ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ, ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐ, ᲚᲝᲗᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲘ�გᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲙᲣᲦᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ �გᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ �გᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲙᲕᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲘᲡ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ – ᲔᲠᲗᲡᲥᲕᲘᲡᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲒᲐᲣᲮᲣᲜᲐᲠᲘ ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲡ – �პᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ �თᲔᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲡᲥᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲐᲒᲐᲕᲓᲐ. ᲔᲡ ᲩᲐᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲘ�პᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲐ ᲡᲬᲝᲠᲣᲠᲘ ᲖᲔᲕᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲧᲝ – ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲓ. ᲐᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲖᲔᲕᲡᲘ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡ ᲐᲠ-ᲜᲐᲮᲣᲚ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲬᲔᲕᲓᲐ.

ᲰᲝᲓᲐ, ᲡᲔᲥᲡᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲐᲓ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲞᲔᲠᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲐᲡ�წᲠᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲗᲐ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲜᲝᲠᲛᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲐ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲠᲐᲙ ᲝᲑᲐᲛᲐᲛ ᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐ�პᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲮᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲠᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝ „ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲥᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲐᲛ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲛᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲝ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲝᲑᲐᲛᲐᲡᲐᲡ. ᲛᲐᲜ (ᲝᲑᲐᲛᲐᲛ) ᲣᲛᲐᲚ ᲐᲣᲦᲝ ᲐᲚᲦᲝ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲡᲥᲔᲡᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ, ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲪᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲭᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲐ�პᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝᲡ ᲩᲐᲓᲒᲛᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐ ᲠᲐ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲤᲚᲨᲘ ᲕᲘᲬᲣᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜ, ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲩᲔᲩᲛᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲝᲡᲐᲕᲗᲘᲗ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ ᲒᲕᲔᲠᲐᲡᲞᲣᲢᲘᲜᲔᲑᲐ – ᲛᲐᲒᲐᲠ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲦᲬᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲙᲐᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲓᲐᲕᲐᲒᲠᲝᲕᲔᲗ.

ᲐᲤᲡᲣᲡ, ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲮᲘᲜᲝᲑᲘᲡ, ᲗᲕᲘᲗᲐᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲝᲡ ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲟᲐᲛᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲡᲔᲥᲡᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲪᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲓᲘᲗ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲮᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲘ ᲡᲔᲥᲡᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲡᲔᲥᲡᲙᲐᲮᲠᲔᲑᲘ (ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲐᲡᲐᲟᲘᲡᲢᲔᲑᲘ), ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲪᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲖᲝ�გᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲡ. ᲕᲘᲜᲪ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲡ, ᲛᲘᲨᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲑᲔᲭᲓᲐᲣᲯᲔᲑᲔᲚ ᲥᲘᲜᲫᲐ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲐᲓ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲮᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔ.

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲛᲝᲕᲢᲧᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲦᲘᲐᲠᲝᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲡᲔᲥᲡᲨᲘ ᲛᲝᲰᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲢᲐᲜᲘᲐ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲐᲝᲪᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲑᲐᲓᲘᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ 81 ᲬᲚᲘᲡ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲠᲝᲣᲖᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲖᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲠᲬᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲟᲐᲛᲡ ᲡᲔᲥᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲯᲔᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲘ �თᲣᲠᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ – ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ ᲔᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕᲔᲑᲐ(!).

ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲐᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲔᲑᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲣᲡᲥᲔᲡᲝ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲣᲡᲥᲔᲡᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲐᲜ.

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲤᲠᲘᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲬᲝᲜᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ? ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲣᲫᲕᲔᲚᲡᲛᲐᲒᲒᲕᲐᲨᲕᲚᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲗ, ᲒᲔᲘᲐᲦᲚᲣᲛᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲝᲗ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲐᲕᲣᲯᲔᲠᲝᲗ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ, ᲨᲔᲕᲔᲨᲕᲐᲗ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲐᲡ, ᲠᲝᲛ „ᲒᲐᲥᲠᲔᲡ ᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ-ᲓᲔᲓᲐᲗᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲝᲚᲝᲒᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲛᲧᲝᲤᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲪ ᲛᲝᲕᲘᲒᲝᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲪᲘᲗᲠᲝᲑ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲚᲝ�გᲘᲜᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ Ი�გᲝᲠᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ. ᲗᲣ ᲐᲛ ᲩᲘᲢᲘᲠᲔᲙᲝᲛᲑᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲔᲨᲕᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲙᲕᲘᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲢᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲕᲮᲣᲠᲝᲜ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲐᲖᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲪᲐᲚᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲗᲣ ᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲣᲭᲠᲝᲡ, ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲝᲕᲣᲮᲡᲜᲐᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲝᲡ, ᲛᲝᲙᲠᲣᲮᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲗᲐᲛᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲠᲓᲝᲡ?! ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲕᲠᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲔᲥᲡᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲡ.

ᲝᲢᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

**ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ

როცა ადამიანი თვითონ წამალია სხვათათვის...

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე – 90

რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო გამოჩენილმა მეცნიერმა, მეცნიერების შესანიშნავმა ორგანიზატორმა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ეთერ ქემერტელიძემ. შვიდი ათეული წელია, რაც იგი დაუღალავად, უხმაუროდ შრომობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში და წარმატებით გაიარა ყველა სამსახურებრივი საფეხური ასპირანტიდან დირექტორამდე.

იტალიელი ქველმოქმედი კ. კვირინიო, ე. ქემერტელიძის ოქროს დისკით. შ. გედევანიშვილი

საქმისადმი უსაზღვრო თავდადება, ენთუზიაზმი, ღრმა ცოდნა, მეცნიერული შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციამდე მიყვანის და კვლევის პროცესში ახალგაზრდობის ჩაბმის უნარი, დარგის განვითარების პერსპექტივის მკაფიოდ გამოხატული ხედვა, კეთილშობილური ბუნება, უბრალოება – აი, ეთერ ქემერტელიძისათვის დამახასიათებელი თვისებების ჩამონათვალი.

ეთერ პეტრეს ასული ქემერტელიძე დაიბადა 1926 წლის 23 მარტს დაბა საჩხერეში ცნობილი ექიმის ოჯახში. 1942 წ. წარჩინებით დაამთავრა საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლა, 1946 წ. – თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი, 1951 წ. კი თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე განაგრძო მუშაობა.

ე. ქემერტელიძე იმთავითვე აქტიურად ჩაება ინსტიტუტის საქმიანობაში, რომლის ძირითადი მიმართულება საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესწავლა და სამკურნალო პრეპარატების შექმნა იყო. ხანგრძლივი მივლინებებით მეცნიერულ კვლევებს აწარმოებდა საკავშირო ქიმიურ-ფარმაცევტულ, საკავშირო სამკურნალო და არომატულ მცენარეთა ხარკოვის ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტებში.

1953 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წ. სადოქტორო დისერტაცია. 1979 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წ. კი ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

1961 წ. თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა და მას ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ეწოდა. 1963 წლის დეკემბერში, ი. ქუთათელაძის გარდაცვალების შემდეგ, ინსტიტუტს მისი უცვლელი დირექტორის სახელი მიენიჭა. 1964-1972 წწ. ინსტიტუტის დირექტორი მსოფლიოში სახელგანთქმული ბიოქიმიკოსი აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი ბრძანდებოდა, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში – ეთერ ქემერტელიძე.

1972 წლის აპრილიდან 2005 წლის ნოემბრამდე – 34 წლის განმავლობაში – ეთერ ქემერტელიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორია. მან ღირსეულად გააგრძელა თავისი წინამორბედების ტრადიციები, თავადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარმაკოქიმიური მეცნიერების განვითარებასა და მისი ახალი თანამედროვე მიმართულებების ჩამოყალიბებაში.

დიდი სამეცნიერო-ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ე. ქემერტელიძემ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი საერთაშორისო დონის დაწესებულებამდე აიყვანა და მეცნიერული კვლევის შედეგებით დამსახურებულად მოუპოვა მას საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი.

ეთერ ქემერტელიძე თანმიმდევრობით ავითარებს და ამკვიდრებს ბიოლოგიურად აქტიურ, ცალკეული კლასის ქიმიურ ნივთიერებათა კვლევებს და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს, საქართველოში იგი გვევლინება ამ საქმის ფუძემდებლად, მსოფლიოში კი ცნობილ მეცნიერად. 1960 წლიდან სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტში მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულ ფიტოქიმიის განყოფილებას. აქ გაიშალა მუშაობა მცენარეთა ისეთ მეტაბოლიტებზე, როგორიცაა: საგულე გლიკოზიდები, სტეროიდული და ტრიტერპენული საპონინები, ტერპენოიდები, ციკლოარტანები, ლიპიდები, ფლავონოიდები, კუმარინები, ლიგნანები, ანტრაქინონები, პოლისაქარიდები.

ე. ქემერტელიძემ ცალკეული მიმართულების მიხედვით დაიწყო მეცნიერული კადრების აღზრდა. მომზადდა რამდენიმე ათეული მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. ჩამოყალიბდა ფიტოქიმიკოსთა ძლიერი სკოლა.

მან, მოწაფეებთან ერთად, გამოავლინა საინტერესო ქიმიური შედგენილობის და ბიოლოგიური ეფექტურობის მქონე მრავალი მცენარე. გამოყო და დაახასიათა 3 ათასამდე ინდივიდუალური კომპონენტი, მათ შორის 250-ზე მეტი ახალი ბუნებრივი ორგანული ნივთიერება.

აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მცენარეულ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შესწავლის საქმეში. ღრმა ქიმიური, ბიოლოგიური, ანალიზური, ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე შექმნა სხვადასხვა დანიშნულების 25 ორიგინალური სამკურნალო პრეპარატი, ბიოქიმიური რეაქტივი, სტეროიდული ჰორმონალური პრეპარატების სინთეზის ნედლეული, სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების სტიმულატორი, რომლებიც ნებადართულია პრაქტიკაში გამოყენებისათვის, ორგანიზებულია მათი გამოშვება. პროდუქციის რეალიზაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში, შემდეგ რუსეთის ფედერაციაში და საქართველოში მიმდინარეობდა.

თვალსაჩინო მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი

ფუნდამენტური გამოკვლევებით გაამდიდრა ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და ბიოლოგიის თეორია. გამოაქვეყნა 550 სტატია, გამოსცა 10 მონოგრაფია, მოიპოვა 88 საავტორო მოწმობა და პატენტი.

მონოგრაფიისათვის „საქართველოში მოზარდი მცენარეების სტეროიდული ნივთიერებები“ ე. ქემერტელიძესა და თ. ფხეიძეს პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია მიეკუთვნათ, ნაშრომთა ციკლისათვის „ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული სტეროიდები და ფენოლური ნივთიერებები“ ქალბატონმა ეთერიმ მოწაფეებთან ერთად იოველ ქუთათელაძის სახელობის აკადემიური პრემია დაიმსახურა. შრომათა ციკლისათვის „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შესწავლა და ახალი სამკურნალო პრეპარატები“ (1960-2011 წწ.) ეთერ ქემერტელიძეს და მის თანამშრომლებს 2004 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

მისი თაოსნობით ინსტიტუტში გეგმაზომიერად ფართოვდებოდა სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო; გაღრმავდა კვლევები ალკალოიდების, ფარმაკობოტანიკის, ანალიზური ქიმიის, ტექნოლოგიის მიმართულებებით. 1975 წელს დაარსდა სტეროიდულ ნივთიერებათა სინთეზის განყოფილება, ჩამოყალიბდა: ბირთვულ-მაგნიტური სპექტროსკოპიის, სამკურნალო ფერმენტოლოგიის, ფარმაკოლოგიის ლაბორატორიები, ექსპერიმენტული და კლინიკური ფარმაკოთერაპიის განყოფილება, ინსტიტუტის სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურები.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შეიქმნა კომპლექსური სისტემა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ძიებიდან დაწყებული – სამკურნალო საშუალებათა შექმნითა და წარმოებით დამთავრებული, ყველა საჭირო სამეცნიერო ქვედანაყოფითა და საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზებით.

1980-1986 წწ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე დადგენილება მიეძღვნა, რაც განპირობებული იყო ინსტიტუტის მეცნიერული შედეგებით, შემუშავებულ პრეპარატთა მნიშვნელობით. აიგო მზა სამკურნალო პრეპარატების კორპუსი მძლავრი ფიტოქიმიის უბნით 3600 m^2 ფართობზე. შემოქმედებითი კავშირები დამყარდა რუსეთის, უკრაინის, უზბეკეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, საბერძნეთის, კანადის, ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთის, იაპონიის, ჩინეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.

ბელგია, ანტვერპენი. შეხვედრა „იანსენფარმასევტიკას“ პრეზიდენტ პოლ იანსენთან, 1988 წ.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე და მისი თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში; თავის მხრივ, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე საინტერესო ღონისძიებები იმართებოდა – 1972-1995 წწ. ჩატარდა 18 საერთაშორისო სიმპოზიუმი და კონფერენცია: სტეროიდების, ფენოლური ნივთიერებების, ინდოლის ნაწარმთა, ნახშირწყლების, ბუნებრივ ნივთიერებათა ქიმიის, გულსისხლძარღვთა დაავადებების და სამკურნალო პრეპარატების, კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოთერაპიის, იმუნოფარმაკოლოგიის პრობლემათა დარგებში.

აკადემიკოსი ე. ქემერტელიძე თავისი საქმიანობის მასშტაბით თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. იგი ოთხი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ექვსი სხვადასხვა სამეცნიერო საპრობლემო საბჭოს წევრი გახლდათ. არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის დეპუტატად; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ; საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპარლამენტო კომისიის წევრად. მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიაში ქალთა კომიტეტიდან.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აქტიური წევრია, არის „ფარმაკოქიმიის“ დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მან ჩამოაყალიბა მიმართულება „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“, ხოლო წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის და ტრადიციული მედიცინის ფაკულტეტი დაარსა. უმაღლესი განათლების სამივე დონეზე ხელმძღვანელობს კადრების მომზადებას.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშის, ღირსების ორდენებით; ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო კოლეგიის ოქროს ფირფიტით, როგორც 1997 წლის გამორჩეული მეცნიერი მცენარეთა ქიმიის დარგში; ინგლისის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მედლით „1900-2000 საუკუნის პიროვნება“ XX საუკუნეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის. დაჯილდოებულია საერთაშორისო ფონდის „მეცნიერული პარტნიორობა“ საპატიო ნიშნის მედლით; მიღებული აქვს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმიდა გიორგის ოქროს ორდენი, რასაც ქალბატონი ეთერი თავისი მოღვაწეობის დაფასების უდიდეს მწვერვალად მიიჩნევს.

ამჟამად აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდულ ნივთიერებათა ლაბორატორიის გამგეა. ლაბორატორია თანამედროვე დონეზე აგრძელებს ინტენსიურ მეცნიერულ მოღვაწეობას.

ეთერ ქემერტელიძის პიროვნულ ღირსებებზე, მათ შორის დახვეწილ ინტელიგენტობაზე, ბევრის თქმა შეიძლება. აქ მთავარია მისი კეთილი, უზადო ადამიანური თვისებები. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს უგრძნია ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის მადლიანი, ზეშთაგონებული დახმარება და მხარდაჭერა, მრავალი მეცნიერის გზის გამკვალავი, ყველას უხვად უნაწილებს გულის სითბოს, ცოდნასა და გამოცდილებას.

დიდი გზა განვლო ეთერ ქემერტელიძემ ფარმაკოქიმიურ მეცნიერებაში, გაწეული შრომით საყოველთაო აღიარება მოიპოვა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეთერ ქემერტელიძე შემოქმედებითად აქტიური და დიდი ადამიანური თვისებების მქონე პიროვნებაა არსი ვლინდება. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ახლაც ენერგიულად შრომობს.

შესანიშნავ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, დიდებულ პიროვნებას, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძეს ვუსურვებთ მრავალჟამიერ შემოქმედებით სიცოცხლეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

◎ პრობლემა

ამოქმედდება ფიზიკური პირის გაკოტრების მექანიზმი?

იპოთეკით დაზარალებული ადამიანების პრობლემა დღის წესრიგში ისევ მწვავედ დგას. დაპირებების მიუხედავად, ხელისუფლება პრობლემის მოგვარებას ვერ ახერხებს.

სპეციალისტებს ერთ-ერთ გამოსავლად ფიზიკური პირის გაკოტრების მექანიზმის ამოქმედება მიაჩნიათ. რას გულისხმობს ფიზიკური პირის გაკოტრება და რამდენად არის გამოსავალი იპოთეკით დაზარალებული მოსახლეობისთვის? ამ თემაზე გადაცემა „ეკონომეტრის“ ეთერში ადვოკატმა როინ მიგრიაულმა ისაუბრა.

— იპოთეკით დაზარალებულთა საინიციატივო კავშირის ინიციატივით დაახლოებით იანვრის მდგომარეობით 250 ათას ოჯახზე ოფიციალურად არის გაცემული სააღსრულებლო უწყება და თუ ამ ციფრს 3-4-წევრიან ოჯახზე გავამრავლებთ, გამოდის, რომ მილიონზე მეტი ადამიანი უთავშესაფროდ შეიძლება დარჩეს. რეალურად ისინი ბანკროტები არიან. რამდენად არის შესაძლებელი ასეთ დროს ე.წ გაკოტრების მექანიზმის ამოქმედება და რატომ არ გამოიყენება?

— იმისთვის, რომ ეს ფაქტობრივი მდგომარეობა სამართლებრივ სიტუაციას მოვარგოთ, ამ პროცესების საკანონმდებლო რეგულირებაა საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც ეკონომიკური და ფინანსური პრობლემა შეექმნათ, უნდა არსებობდეს ქვეყანაში მექანიზმი, რომელიც მათ ამ პრობლემისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას მისცემს. თუ საერთაშორისო სტანდარტებს გავითვალისწინებთ, ასეთი მექანიზმი გათვალისწინებული უნდა იყოს გაკოტრების კანონმდებლობაში. ჩვენც გვაქვს გაკოტრების კანონმდებლობა, რომელიც გადახდის უუნარობის კანონის ფარგლებშია მოქცეული. სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონი არ ცნობს ფიზიკური პირის გაკოტრებას, წინა პერიოდში მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, რომელიც ცალკე სუბიექტად მიიჩნევდა ფიზიკურ პირს, რომლის გაკოტრებაც შესაძლებელი იყო.

— რატომ აუარეს ამ შემთხვევაში გვერდი ფიზიკურ პირებს?

— 2007 წელს მიიღეს ახალი კანონი, რომელმაც გააუქმა გერმანელი ექსპერტების მიერ შემუშავებული ძველი კანონი, ძალიან კარგად რომ მუშაობდა 10 წლის განმავლობაში და მასში ფიზიკური პირის გაკოტრება გათვალისწინებული იყო. ვერ გეტყვით, რა მიზეზი ჰქონდა მაშინდელ ეკონომიკურ გუნდს, რომელმაც დაიწყო ახალი კანონის შემუშავება და დაარქვა გადახდისუნარობის შესახებ კანონი, რომლითაც არ გაითვალისწინა ფიზიკური პირი, როგორც გაკოტრების სუბიექტი. აქედან გამომდინარე ახსნა ძნელია, თუ რა მიზანი ჰქონდა მაშინდელ მთავრობას, როდესაც უარი თქვა ფიზიკური პირის გაკოტრებაზე. თუმცა ექსპერტები ვამბობთ, რომ დიდი შეცდომა დაუშვა ამით სახელმწიფომ, როდესაც ფიზიკური პირი გამორიცხა, როგორც გაკოტრებისუნარიანი სუბიექტი. ზოგადად, როცა კომპანიები კოტრდება, ხშირ შემთხვევაში არის გამოსავალი, როგორც კომპანიის აქტივების გადარჩენის, ისე კომპანიის, როგორც სამართლებრივი სუბიექტის გადარჩენის. ფიზიკური პირის მიმართაც მთელი რიგი რეგულაციები არსებობს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი ვალებისგან გათავისუფლება. პირველი კანონი, რომელიც 2007 წელს გაუქმდა, პირდაპირ ითვალისწინებდა ორი ტიპის რეგულაციას. როგორიც იყო

მთავრობა იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემას ვერ აგვარებს - რას ურჩევენ სპეციალისტები ხელისუფლებას

მოვალის ვალებისგან გათავისუფლება და ვალებისგან გათავისუფლების შემდეგ ეს პირი იქცეოდა სრულუფლებიან, აქტიურ მოქალაქედ. დღეს სახელმწიფოს კრედიტ ინფოს შავი სიის მონაცემების მიხედვით 100 ათასზე მეტი მომხმარებელი ჰყავს შეყვანილი მოვალე, რომელსაც არა აქვს საშუალება, როგორც, მოვალეს, დაიწყოს აქტიური სამართლებრივი ქმედებები. სახელმწიფოს არ აწყობს, რომ ჰყავდეს ამდენი სამართლებრივად უუნარო მოქალაქე. მათი გააქტიურება შესაძლებელია გაკოტრების კანონის ეფექტურად ამოქმედებით.

— მაშინ რა შეღავათი შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ პირს?

— უწინარესად, მათ უნდა მიმართონ სასამართლოს და დაიწყოს მათ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება, რომლის საბოლოო შედეგი იქნებოდა ან ვალებისგან გათავისუფლება, ან სააღსრულებლო დაცვის მიღწევა, როდესაც რაღაც ვადის განმავლობაში მათ მიმართ არ შეიძლება კრედიტორებმა დაიწყონ სააღსრულებლო მოქმედებები. ძველი კანონი ერთწლიან სააღსრულებლო დაცვას ითვალისწინებდა. მათ ამ პერიოდში შეუძლიათ დაიწყონ აქტიური სამართლებრივი ცხოვრება, ამ დროში შექმნილი მათი ცხოვრება დაცული იქნება კრედიტორებისგან. გერმანიაში ეს პერიოდი არის 7-წლიანი. 7 წელი უფრთხილდება სახელმწიფო ასეთ მოვალეებს.

— ჩვენი პრობლემა დღეს ის იპოთეკარები არიან, ვინც შესაძლოა, საცხოვრებლის გარეშე დარჩნენ. მაგალითად, დასავლეთში აკრძალულია იპოთეკაში ერთადერთი საცხოვრისის გარანტიის ჩადებით სესხის გაცემა, რაც ჩვენთან მთავარი პრობლემაა.. რამდენად არის დაცული მომხმარებელი, რომ უშუალოდ იპოთეკური სესხის აღების დროსვე არ არის მოტყუებული?

— ჩვენთანაც არის დაახლოებით ანალოგიური ჩანაწერი სამოქალაქო კოდექსში, სადაც წერია, რომ მთლიანი ქონების მიმართ გარიგების დადება არ შეიძლება, ანუ შენ თუ მთლიან ქონებას გარიგების ობიექტად აქცევ, ასეთი გარიგება შესაძლოა, ბათილად იქნეს ცნობილი. უბრალოდ, ეს ნორმა არ მოქმედებს. გარკვეული დაცვის მექანიზმები უნდა არსებობდეს და პირდაპირი აკრძალვა სესხის ხელშეკრულების თავში იყოს, რომ არ შეიძლება მთლიანი ქონების ჩადება. სახელმწიფომ უნდა იფიქროს მექანიზმებზე. უწინარესად, ასეთი ინიციატივა იუსტიციის სამინისტროსგან უნდა მოდიოდეს. რამდენადაც ვიცი, იუსტიციის სამინისტრო რაღაც პერიოდის განმავლობაში ფიქრობდა იპოთეკარების პრობლემების მოგვარებაზე, მაგრამ ეს სამართლებრივ ნორმებში უნდა აისახოს.

— მეორე მხრივ, საუბარია უკვე გაცემულ კრედიტებზე. რამდენად იზარალებს სესხის გამცემი პირი ან ორგანიზაცია, თუკი ასეთი ტიპის კანონი ამოქმედდება?

— უნდა დავყოთ ბანკების მიერ გაცემული კრედიტები და ფიზიკური პირების სასესხო ურთიერთობა. გარკვეულწილად სესხის გამცემსაც თავისი პრობლემა აქვს, რომელმაც თანხა გასცა და შესაძლოა, ეს თანხა მისთვის ერთადერთი საარსებო წყარო იყო და მისგან სარგებლის მიღება გადაწყვიტა. ბანკებთან დაკავშირებით უფრო მკაცრ რეგულაციებს მოვითხოვდი. ბანკებს შეესაძლოა, საკანონმდებლო ორგანოზე ავუკრძალოთ მექანიზმების გამოყენება და ფიზიკურ პირებთან მიმართებაში როგორც იპოთეკარის ინტერესი უნდა დაიცვა, ისე გამსესხებლის ინტერესიც უნდა დაიცვა.

◎ გენდერული ბალანსი

ახალგაზრდებს სურთ, პოლიტიკასა და სხვა პროფესიებში მეტი ქალი იხილონ

შესაძლოა, 2018 წლიდან საქართველოს განათლების სამინისტრომ „მე და საზოგადოება“ ერთ-ერთ საგნად შეიოიტანოს და საჯარო სკოლის ყველა კლასში მნიშვნელოვან წიგნად აქციოს. თუმცა, იქამდე, ეროვნული გამოცდების ტესტებში შეიტანეს რამდენიმე თემა, რომელიც სოციალურ იდენტობასა და გენდერულ თანასწორობას შეეხებოდა.

საკითხი ერთობ უწყინარია, თითქოს არაფერი განსაკუთრებული... მაგრამ როცა ამ თემით დაინტერესებულმა არასამთავრობოებმა თვალი გადაავლეს აბიტურიენტების მომზადების დონესა და დამოკიდებულებას, დაასკვნეს, რომ ტენდენცია არც თუ სახარბიელოა. პუბლიკაციაში, რომელიც სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მომზადდა, ნათქვამია: **„გენდერული საკითხის მიმართ ინფორმირებულობა ძალიან დაბალია. იმის მიუხედავად, რომ აბიტურიენტების უმრავლესობას სწორი დამოკიდებულება აქვს ზოგიერთი თემის მიმართ, მათ არა აქვთ ინფორმაცია და, შესაბამისად, უჭირთ სხვადასხვა საკითხზე ადეკვატურად მსჯელობა“.** მაგალითად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ტერმინებიდან, ნაშრომების 32.7%-ში გამოყენებულია ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ ან „გენდერული ბალანსი“. ნაშრომების მხოლოდ 2,2%-შია გამოყენებული „ფემინიზმი“ და „ფემინისტი“. აბიტურიენტები იშვიათად ახსენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა სექსიზმი, გენდერული პოლიტიკა, მასკულინური ფემინური და ა.შ... ეს ადასტურებს, რომ აბიტურიენტებს არა აქვთ შესაბამისი ცოდნა, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს არაკონსტრუქციულ მსჯელობას ან ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს ერთსა და იმავე ნაშრომში.

რა თქმა უნდა, არასამთავრობო სექტორს არ მოსწონს მსგავსი ტენდენციები. ამის გამო ხშირია კრიტიკა მათ ნაშრომებში, გამოსვლებში... მათი აზრით, 21-ე საუკუნის ადამიანის აზროვნებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია გენდერული დისბალანსი. იმის მიუხედავად, რომ მეთორმეტე საუკუნიდან სწავლობს ქართველი, რომ ქალი მამაკაცის თანასწორია (და არა პირიქით, მამაკაცი ქალის თანასწორია (!), თანამედროვე ქართველ მოქალაქეს მაინც აქვს თავისებური ბარიერები თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით. მაგალითად, აბიტურიენტების მსჯელობაში გადააწყდებით ამგვარ მიდგომებს: **„მამაკაცები უკეთესი მზარეულები არიან, ვიდრე ქალები“; „საზოგადოებასთან ურთიერთობა კაცებს უკეთ გამოსდით“; „ქალის ფუნქცია მამაკაცის გვერდით ყოფნაა... მთავარი ფუნქცია შვილების აღზრდა“; „ქალები უკეთ აზროვნებენ, ვიდრე მამაკაცები“ და ა.შ. ქალის ეპითეტად ახალგაზრდები იყენებენ ტერმინებს „სუსტი სქესი“, „მანდილოსანი“, „ქალბატონი“. ჩემი აზრით, თუკი ეს ყველაფერი მათ სუბიექტურ აღქმასა და მოვლენის მიმართ თავისებურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ქეთევან მამინაიშვილი მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ახალგაზრდებში მკაცრად არის გამჯდარი სტერეოტიპები.** და რა გააქრობს ამ სტერეოტიპებს? განათლების მესვეურები წლებია, ფიქრობენ, რომ, სწორედ სკოლის ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს სტერეოტიპების მსხვრევა. მით უფრო, რომ ეს არ ეხება მხოლოდ ქალისა და კაცის თანასწორობის საკითხებს. აქ შემოდის სოციალური თანასწორობის, სექსუალური თუ სქესობრივი იდენტობის თემები, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ჯერ კიდევ „უცხო ხილია“.

ეროვნული გამოცდების ტესტებში შესული იყო ასეთი საკითხები: „სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“; ასევე, არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის, ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“. აბიტურიენტები ან უნდა დათანხმებოდნენ, ან უნდა უარეყოთ. ამასთანავე, ემსჯელათ არგუმენტირებულად. **ახალგაზრდების 70%-მა განაცხადა, რომ სურს პოლიტიკაში ან სხვა პროფესიებში მეტი ქალი იხილოს!!!** როცა ახალგაზრდები გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით არგუმენტებს იყენებენ, ყველაზე ხშირად ქალის თვისებებსა და მახასიათებლებს გამოყოფენ. მაგალითად: ამბობენ, რომ ქალი სუსტია და ზოგიერთი საქმიანობის შესრულება არ შეუძლია: ზოგიერთი პროფესია ქალისთვის შეუფერებელია, რთულია ან შეუძლებელია. ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ მამაკაცისთვის არსებობს შეუფერებელი პროფესიები, მაგრამ არა შეუძლებელი (ძიძის, სტილისტის, დამლაგებლის, მრეცხავის). ქალისთვის მიუღებელ პროფესიად მიაჩნიათ იყოს მუშა, ხელოსანი, დურგალი, მჭედელი...

ახალგაზრდების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული სამაგალითო ქალები არიან თამარ მეფე, მარგარეტ ტეტჩერი, ანგელა მერკელი, ინდირა განდი, ჟანა დ' არკი...

როცა ექსპერტებმა აბიტურიენტების ტესტები გააანალიზეს და შეაჯამეს, დასკვნა ასეთი გამოვიდა: **„ბევრ ნაშრომში გამოყენებული იყო სტერეოტიპები. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სტერეოტიპი იყო ის, რომ ქალის მთავარი მოვალეობა შვილის აღზრდა ან ოჯახში საქმიანობაა. ეს ნიშნავს, რომ პერსპექტივის შეცვლის მიუხედავად, ქალი მაინც რჩება ოჯახთან მიბმული და მისთვის ზოგიერთი საქმიანობით დაკავება „მიღებულია“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პარალელურად „ოჯახს მოუვლის“.**

ეს არის სტერეოტიპი, ეს არის სტიგმა, მაგრამ რატომ უნდა შეიცვალოს ეს მიდგომები? — ჩემი აზრით, აი, ეს არის საკითხავი!!! თუკი ქალი დასაბამიდან უფრო სუსტია ფიზიკურად, ვიდრე მამაკაცი (თუმცა, ალბათ, წონით კატეგორიასაც გააჩნია), რატომ არის მიუღებელი გამოყენება ტერმინისა — „სუსტი სქესი“. ეს ხომ თავისთავად მის კნინობით ფორმას არ გულისხმობს? დედა, რომელიც 9 თვე მუცლით ატარებს შვილს, ძუძუს აწოვებს და იმუნიტეტს გადასცემს, ბუნებრივად არ არის დაკავშირებული შვილთან და ოჯახთან?! როცა ეს სტერეოტიპი დაინგრევა და განადგურდება, სწორედ მაშინ დადგება კატაკლიზმებისა და გადაგვარების წინაშე კაცობრიობა...

ნუთუ არსებობს დედამიწაზე პროფესია, რომელიც ვინმეს აუკრძალავს ქალისთვის? ნუთუ არსებობს სფერო, სადაც ქალს თავი არ გამოუჩენია შემდუღებლით დაწყებული კოსმონავტით დამთავრებული? ამიტომ უმჯობესია, პრობლემას შევხედოთ პროფესიის თავისუფალი არჩევანის კუთხით და არა იმ მიდგომით, რომ თითქოს ქალები დაჩაგრულები არიან, ან ვინმე ზღუდავს მათ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პროფესიისადმი!!!

თეა მოსია

ირანის არჩევნები და საქართველოს პოლიტიკა



ირანის ისლამური რესპუბლიკის არჩევნები იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გამორჩეული ფაქტორია, რომლებსაც ბოლო პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო სარბიელზე ჰქონდა ადგილი. სირიაში მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, აშშ-ში მიმდინარე პრაიმარისი, მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა, ევროკავშირის ქვეყნებზე ლტოლვილების შეტევა, ბრიტანეთის რეფერენდუმისთვის მზადება — აი, ის არასრული ჩამონათვალი, რომლებმაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს. მათ შორის ირანის არჩევნები გამოირჩეოდა და აქედან გამომდინარე, მსოფლიო მედიის ყურადღება მისადმი.

ირანის ისლამური რესპუბლიკა ის ახალი ხილია, რომელიც იზიდავს მსოფლიო პოლიტიკას, მედიას, განსაკუთრებით ბიზნესს. მაგრამ უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდა გუშინ ან გუშინწინ? ნამდვილად არა, მაგრამ მაშინდელ „ყურადღებას“ ლაიტმოტივად გასდევდა ლანძღვა-გინების, ირანის ხელისუფალთა მოჭარბებული სისასტიკის, არადემოკრატიული სულისკვეთებისა და ადამიანის უფლებათა სისტემატური შებღალვის შავი ზოლი.

დღევანდელი ირანი ისეთივეა, როგორც გუშინ და გუშინწინ, ათეული და ასეული წლის წინათ. მაშ რა მოხდა, რამ გამოიწვია ესოდენი ფერიცვალება ამ ქვეყნისა და ხალხის მიმართ?

პასუხი, მარტივიც არის და რთულიც, ვინაიდან მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მოკლედ და კონკრეტულად თუ ვუპასუხებთ დასმულ კითხვას, შემდეგ შედეგს მივიღებთ. ირანის მოსახლეობის, ხელისუფლების თანმიმდევრულმა ბრძოლამ ქვეყნის აღმშენებლობისთვის, შეუპოვრობამ და საღმა საგარეო პოლიტიკამ აიძულა დასავლეთი, კერძოდ, აშშ-ში შეეცვალა ის პოლიტიკა, რომელსაც 37 წლის განმავლობაში აწარმოებდა ირანის მიმართ.

დღეს, დასავლეთი იძულებულია, აღიაროს ირანის საპარლამენტო (მეჯლისის) არჩევნების წარმატებულობა. თითქოს ასეთს ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველად ჰქონდეს ადგილი. არადა, 37 წელია, ირანი წარმატებით ატარებს სხვადასხვა დონის არჩევნებს, თუმცა მაშინ დასავლეთი — ანტიირანულად განწყობილი, ნეგატიურად მოიხსენიებდა მას (არჩევნებს).

ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მარტო რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური სისტემისგან, არამედ მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების სახელმწიფო წყობისგან, მაგრამ დემოკრატიულობის თვალსაზრისით აღემატება რეგიონის და უტოლდება მსოფლიოსას. სპარსეთის ყურის, ახლო აღმოსავლეთისა და არაბული სახელმწიფოების ფონზე ირანი ჭეშმარიტი დემოკრატიის ქვეყანაა, თუმცა მას დასავლეთი გაცილებით არასახარბიელოდ მოიხსენიებს, ვიდრე საუდის არაბეთს, არაბულ საამიროებს, ყატარს, ... მიზეზი? მარტივია — დასავლეთის არადემოკრატიული შეფასება, მიკერძოება, სუბიექტურობა.

გავავლოთ პარალელები ჩვენს ქვეყანასთან. საქართველოს ხელისუფლებას სწყინს, როდესაც დასავლეთი დაბეჯითებით მიანიშნებს პოლიტიკური ნიშნით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამნაშავეთა გამწესებაზე. არის თუ არა საწყენი უგულავას, ახალაიას, სხვათა ლამის პოლიტიკურ პატიმრებად მონათვლა? არის თუ არა საწყენი ყოფილი პრეზიდენტის და მისი გუნდის წარმომადგენლების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძრვის ეჭვქვეშ დაყენება და დასავლელთა მუდმივი საყვედურების მოსმენა ამასთან დაკავშირებით? ცხადია, საწყენია.

ყოველივე აღნიშნული ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც დასავლეთი კადრულობდა და კადრულობს ირანის მიმართ. დავუმატოთ ამას ეკონომიკური სანქციები, ირანის საერთაშორისო არენიდან განდევნის მცდელობა, სხვა დასავლური მაქინაციები, რამაც უდავოდ გააუარესა ირანელთა ყოფა. აშშ და მისი მოკავშირეები — ე.წ. დემოკრატიული ქვეყნები, რომლებიც ირანს არადემოკრატიულად მოიხსენიებენ, თავიანთი საქციელით იმაზე უარესად გამოიყურებიან, ვიდრე ნიშანში ამოღებული სალანძღავი ობიექტი.

37-წლიანი მძიმე დაპირისპირების შემდეგ ვითარება იცვლება, რაც უპირველესად ირანელთა დამსახურებაა. არ გაუძლებდა ირანი დასავლურ გამოწვევას, არ ყოფილიყო ის ძლიერი თითქმის ყველა პარამეტრით, კერძოდ, სამხედროთი, არ იქნებოდა ის დადებითი შეფასებები მის მიერ ჩატარებული არჩევნების მიმართ.

26 თებერვალს ჩატარებულ პარლამენტის (მეჯლისის) არჩევნებში ირჩევდნენ 290 დეპუტატს და ექსპერტთა საბჭოს 88 ღვთისმსახურს.

პარლამენტის მოქმედების ვადა 4 წლით არის განსაზღვრული, ხოლო ექსპერტთა საბჭოსი - 8 წლით. ქვეყანაში გახსნილი იყო 53 ათასი საარჩევნო ოლქი. არჩევნების ჩატარების ორგანიზაცია შსს პრეროგატივაა, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება დართო 4844 კანდიდატს, მათ შორის 586 ქალს. პარლამენტში მოხვედრის სურვილი გაცილებით მეტმა გამოთქვა, მაგრამ კომისიამ შეისწავლა რა მათი საქმეები, მხოლოდ იმათ დართო ნება, რომლებმაც შესაბამისი შემოწმება დადებითად გაიარეს. ერთ სადეპუტატო ადგილზე 16 კანდიდატი იყრიდა კენჭს.

ირანში არ არის პოლიტიკური პარტიები, მაგრამ არის პოლიტიკოსთა არაფორმალური გაერთიანებები. ამომრჩეველთა 60%, ანუ 33 მილიონმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. უმრავლესობამ მხარი რეფორმატორებს დაუჭირა, ანუ დღევანდელ პრეზიდენტს და მის გუნდს. კონსერვატორები (ტრადიციონალისტები) ოპოზიციაში აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება ექსპერტთა საბჭოს, იქ 88 ადგილისთვის 159 პრეტედენტი იყო აღნუსხული. ექსპერტთა საბჭოს უფლებამოსილების ვადა 8-წლიანია. ექსპერტთა საბჭოს არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ და ექს-პრეზიდენტმა აქბარ ჰაშიმი რაფსანჯანიმ.

ექსპერტთა საბჭოში მხოლოდ დამსახურებულ შიიტ სასულიერო პირებს ირჩევენ, რომელთა უმთავრესი ფუნქცია თავის რიგებიდან ქვეყნის სულიერი ლიდერის არჩევაა. ირანის კონსტიტუციით, სახელმწიფოს მეთაური არის სულიერი ლიდერი და არა პრეზიდენტი. 37 წლის განმავლობაში ის მხოლოდ ერთხელ შეიცვალა — 1989 წელს, როდესაც გარდაცვლილი აიათოლა ხომეინის შემდეგ აირჩიეს აიათოლა ხამენეი.

პარლამენტის დეპუტატების უმთავრესი პრეროგატივა ეკონომიკურ და საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების შემუშავებაა, რაც შეეხება საგარეო საკითხებს — დეპუტატთა გავლენა შეზღუდულია, თუმცა მეჯლისი რატიფიკაციას უკეთებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და მსხვილ კონტრაქტებს, დადებულს უცხოეთის სახელმწიფოებთან.

მეჯლისი აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მუშაობას. წინა პრეზიდენტი არაერთხელ წარდგა პარლამენტის წინაშე ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხების განმარტების მიზნით. მაშინ დაპირისპირებამ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა შორის პიკს მიაღწია, რასაც ადგილი არ ჰქონია ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ (1979).

ორივე არჩევნებთან დაკავშირებით ექსპერტებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ. ერთნი მიიჩნევენ, რომ კარდინალური ცვლილება არ მომხდარა, მეორენი კი — პირიქით თვლიან. ამ შემთხვევაში სინამდვილესთან ახლოს უფრო მეორეთა პოზიციაა, ვინაიდან რეფორმატორებმა აშკარად განიმტკიცეს პოზიციები, უკან ჩამოიტოვეს კონსერვატორები (ტრადიციონალისტები) და მიუმხრობლები.

რეფორმატორთა პოზიციების განმტკიცება ბევრი რამით იყო განპირობებული, სახელდობრ დათმობებზე წასვლით. რეფორმატორებმა უარი განაცხადეს სამოქალაქო თავისუფლებათა გაფართოებაზე, სახელისუფლებო სტრუქტურის შეცვლაზე, პარლამენტის უფლებამოსილებათა გაზრდაზე. მთავარი ყურადღება გადაიტანეს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე, რასაც ირანელთა უდიდესი უმრავლესობა უჭერს მხარს. რეფორმატორთა ბრძოლის მთავარი სამიზნე უმუშევრობა და ინფლაციაა. ისინი შეეცდებიან იმ დაპირების შესრულებას, რომელიც ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ქვეყნის მრეწველობის განვითარებას გულისხმობს.

მსოფლიო პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ არჩევნების შედეგად ირანი დასავლეთისკენ გადაიხრებოდა. 80-მილიონიანი ირანი — განვითარებული სოფლის მეურნეობით, მრეწველობით, მეცნიერებით, მდიდარი წიაღისეულით, კერძოდ, ნავთობით და გაზით, სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობით სწორედ ის ქვეყანაა, რომელთანაც საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა. ასეთთა რიცხვშია აშშ, რომელიც შეეცდება, გამონახოს მასთან საერთო ენა.

ირანთან საერთო ენის გამონახვა აშშ-სთვის ბევრს ნიშნავს, უპირველესად რეგიონში სტრატეგიული დასაყრდენის შექმნას. თუ ამერიკამ ამას მიაღწია, მაშინ მას ხელფეხი გაეხსნება ჩინეთის, რუსეთის საპირისპირო პლაცდარმის შექმნაში. მისი გავლენა პაკისტანის, ინდოეთის, კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების და, რაც მთავარია, რუსეთის მიმართ გაფართოვდება.

შეძლებს აშშ ირანის ისე მოხიბლვას, რომ მას დაავიწყოს ის საშინელებანი, რომლებიც 37 წლის განმავლობაში ჩაიდინა ირანის მიმართ? პოლიტიკაში ყველაფერია მოსალოდნელი და ამის მაგალითები იშვიათობა არ არის, თუნდაც ვიეტნამი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია აშშ-ის გამაჩანაგებელი ხელი, დღეს ამერიკის სტრატეგიული პარტნიორია.

როგორც ამბობენ, ვიეტნამისგან განსხვავებით, ირანს სხვა მეხსიერება აქვს. ის ნაკლებად დათანხმდება სტრატეგიულ პარტნიორობას, ვინაიდან იცის, რომ „დიდისა“ და „პატარის“ ურთიერთობა ისტორიულად — მხოლოდ „დიდის“ წისქვილზე უშვებს წყალს. ირანი კი დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანაა და არა მარიონეტი, თუნდაც ისეთი, როგორებიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებია. მან ნამდვილი სუვერენიტეტი სისხლით და ოფლით მოიპოვა და არავითარ სტრატეგიულ პარტნიორობაზე იმ გაგებით, როგორც ეს დასავლეთში ესმით, არ დათანხმდება.

ფაქტიც სახეზეა — მომავალი 10 წლის განმავლობაში თეირანი განამტკიცებს ორმხრივ ტვირთბრუნვას ჩინეთთან 52 მილიარდი დოლარიდან 600 მილიარდამდე. ის აპირებს მჭიდრო კონტაქტებს ინდოეთთან, სამხრეთ კორეასთან. გააფართოებს კავშირურთიერთობებს რუსეთთან, განსაკუთრებით სამხედრო საქმეში. რუსულ კომპანიებთან იგეგმება 20 მილიარდ დოლარიანი კონტრაქტები.

23 თებერვალს თეირანში იმყოფებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა, რომლის დროსაც ხელი მოეწერა 11 ხელშეკრულებას. ყურადღება გამახვილდა ირან-აზერბაიჯან-რუსეთის რკინიგზის მშენებლობის დროულ დამთავრებაზე. ასტანა-რეშტი-ყაზვინის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 2005 წელს გადაწყდა. მისი დამთავრება 2017 წელს იგეგმება. რკინიგზა გადაიყვანს 1.4 მილიონ მგზავრს და გადაიტანს 7 მილიონ ტონა ტვირთს წლიურად.

გამოცოცხლება იგრძნობა ქართულ-ირანულ ურთიერთობებშიც, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს საქართველოში ირანის ელჩს, კარიერის დიპლომატს, გამოცდილ პოლიტიკოსს აბას თალები ფარს. სწორედ მისი მეცადინეობით განხორციელდა რიგი ოფიციალური ვიზიტებისა, რასაც ირანში ჰქონდა ადგილი, საქართველოს ოფიციალური პირების მხრიდან. მიღწეულ იქნა შეთანხმება ირანელთათვის საქართველოში უვიზოდ შემოსვლის თაობაზე, საჰაერო კომუნიკაციის აღდგენის დარგში და სხვა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა ჯერეოვან დონეს მიაღწევს, რაც უდავოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას.

სარკინიგზო კომუნიკაცია, რითაც ირანი, აზერბაიჯანი და რუსეთი დაუკავშირდება ერთმანეთს მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ეკონომიკის, ისე პოლიტიკის დარგში. აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან წამოსული ტვირთები, სპარსეთის ყურის, ირანის, აზერბაიჯანის და რუსეთის გავლით არა მარტო ცენტრალური აზიის ქვეყნებს მიეწოდება, არამედ ევროპის. კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება პრაქტიკულად იფიქრებს და ჩაერთვება პროექტში. ჩართვა კი ამ რკინიგზის საქართველო-სამხრეთ ოსეთის გავლით შეიძლება, ცხადია შესაბამისი რკინიგზის ხაზის გაყვანით. წინადადებას აგრესიულად შეხვდებიან ე.წ. პატრიოტი „ნაცები“ და მათი იდეების გამზიარებლები, მაგრამ ღირს კი მათთვის ყურის დაგდება?!

„ნაცების“ პოლიტიკა, საქართველოს რომ ჭურისკენ მიაქანებს, ფაქტია. არადა საქართველო კარგავს იმ სიმდიდრეს, რასაც გეოპოლიტიკური, ტრანზიტული ჰქვია. დედამიწის ზურგზე იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, რომელიც არ ცდილობს სატრანზიტო ფუნქციის შეძენას, თუნდაც ხელოვნურს. საქართველოს ბუნებრივად აქვს ეს ბედნიერება, მაგრამ ჰყავს „ნაცები“ — გონებადაბინდული ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან სატრანზიტო ფუნქციის ამოქმედების.

გადმოვიღოთ მაგალითი მეზობელი აზერბაიჯანიდან, რომელმაც განახორციელა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, მაგრამ ამას არ დასჯერდა და ირან-აზერბაიჯან-რუსეთის რკინიგზას შეასხა ფრთები, მიუხედავად თურქეთის ეჭვიანი დამოკიდებულებისა, აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობების მიმართ.

ირანს მჭიდრო კავშირები აქვს სომხეთთან, სადაც იგეგმება ირან-სომხეთის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა. პროექტი უდავოდ განხორციელდება და მაშინ სომხეთი ჩიხში აღარ იქნება. სომხეთი პირდება ირანს ტვირთების შავ ზღვაზე გატანას, ცხადია საქართველოს გავლით. მაგრამ როდესაც სომხეთი ჰპირდება, ეს ნიშნავს რუსეთი ჰპირდება, ვინაიდან სომხეთის რკინიგზა რუსეთის რკინიგზის შვილობილია. სომხეთის დიდი სურვილია საქართველო-აფხაზეთის გავლით რუსეთში, იქიდან ევროპაში შესვლა, რაც სოხუმ-თბილისის რკინიზგის აღდგენის შემთხვევაში, სრულ რეალობას იძენს.

რას ვაკეთებთ ჩვენ? არავითარ შემთხვევაში — გავყვირით. არადა სარკინიგზო კომუნიკაციების აღდგენა თავისთავად ნიშნავს აფხაზეთ-საქართველოს ხალხთა ჩატეხილი ხიდის აღდგენას, ახალი, საქმიანი ურთიერთობების დაწყებას. „ნაცებს“ უნდათ თუ არა, ცხოვრება დასვამს კომუნიკაციების აღდგენის თემას, მაგრამ ჯობს ადრე, ვიდრე გვიან.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ 2015 წ. განხორციელებული საქმიანობის პროგრამული

ანგარიში

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა №4, 15.04.2005).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის საქმიანობა 2015 წ. მოიცავდა 2 მიმართულებას: 1. დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას (ვაუჩერული დაფინანსება ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოდან); 2. ასოციაციის წევრებისა და დიაბეტით დაავადებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და სამეურნეო საორგანიზაციო ხარჯი (დაფინანსება კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან და ასოციაციის წევრთა საწევროებიდან).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის (ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვის სახელმწიფო ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში) შესრულება.

დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა სახელმწიფო პროგრამა განკუთვნილია საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის. 2015 წ. პროგრამა მოიცავდა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

1. ბენეფიციარებისათვის საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შეძენა, შენახვა და გაცემა გლუკოზის თვითკონტროლისათვის;
2. პაციენტების ლაბორატურიული გამოკვლევები (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა);
3. თვალის გართულებათა მონიტორინგი;
4. დიაბეტური განათლების მიღება;
5. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის პროგრამა.

2015 წლის ბავშვთა და მოზარდთა პროგრამა განკუთვნილი იყო საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის და 18 წელს გადაცილებული იმ დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრალური დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი. პროგრამის ძალაში შესვლის მომენტისათვის (01.01.2015) ასოციაციაში რეგისტრირებული ზემოაღნიშნული ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა იყო 720. 2015 წ. გამოვლინდა 18 წლამდე ასაკის 133 ახალი პაციენტი, რაც წინა წლების გაზრდილ სტატისტიკასთან თანხვედრაშია, მაგრამ ჯერჯერობით რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდებოდა ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების კოორდინატორის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში ასოციაცია ვაუჩერული დაფინანსებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე დამატებით, როგორც ჰუმანიტარული ორგანიზაცია, საქველმოქმედოდ აწარმოებდა სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების (ინსულინები, ინსულინების ანალოგები, შპრიც-კალმისტრები, კალმისტრის ნემსები) შენახვას სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში, აღრიცხვას და დარიგებას, რაც საკმაოდ დიდ ადამიანურ და მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მედიკამენტების გაცემა ხდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით: ახლადგამოვლენილი პაციენტების აღრიცხვაზე აყვანა და მათზე მედიკამენტების გაცემა ხორციელდებოდა ასოციაციის ცენტრალური ოფისიდან უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმ პედიატრ ენდოკრინოლოგის მიერ გამოწერილი ფორმა 100-ის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების პაციენტებზე გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კონტროლდებოდა ონლაინ რეჟიმში სპეციალური პროგრამის საშუალებით.

პროგრამის მონაწილე ყველა პაციენტი უზრუნველყოფილია გლუკომეტრითა და პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის საანალიზო ჩხირებით (სისხლის და შარდის), რაც მათ აძლევთ საშუალებას დამოუკიდებლად აკონტროლონ სისხლში გლუკოზის დონე. ამას გარდა, მათ კვარტალში ერთხელ სავალდებულო წესით პროგრამის ფარგლებში უფასოდ უკეთდებათ HbA1c გლიკოჰემოგლობინის ანალიზი, რაც უაღრესად დიდ ინფორმაციას იძლევა პაციენტებში ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ. გლიკოზირებული ჰემოგლობინის ანალიზი კეთდება ასოციაციის ლაბორატორიაში, ცენტრალურ ოფისში. 2015 წლის განმავლობაში სულ გაკეთდა 2541 ანალიზი.

ასოციაციის ცენტრალურ ოფისში პაციენტებს ექვს თვეში ერთხელ აუცილებელი წესით უტარდებათ თვალის შემდეგი გამოკვლევები: ოფთალმოსკოპია, რეფრაქტომეტრია, ბიომიკროსკოპია და ფუნდუსკოპია. 2015 წლის განმავლობაში თვალის სკრინინგი ჩაუტარდა 1159 პაციენტს.

ასოციაციას აქვს დიაბეტის საგანმანათლებლო სკოლები პაციენტებისა და მათი მშობლებისათვის, სადაც მუდმივად ტარდება მეცადინეობები, როგორც ახლადგამოვლენილი პაციენტებისათვის, აგრეთვე მათთვისაც, ვისაც ექიმთა დაკვირვებით ხელახლა სჭირდება სკოლის გავლა. დიაბეტური განათლების მიღება საგრძნობ გავლენას ახდენს პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან იზრდება თვითკონტროლის ხარისხი.

2015 წ. განმავლობაში, რეაბილიტაციის პროგრამით ასოციაციის სარეაბილიტაციო სპორტულ ცენტრში ტარდებოდა ვარჯიშები 2 ჯგუფში. სულ 2015 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო ცენტრში დაკავებული იყო 22 პაციენტი (13 გოგონა და 9 ვაჟი).

თითოეული პაციენტისათვის შემუშავდა განსაზღვრული ინტენსივობის ფიზიკური დატვირთვების ინდივიდუალური გრაფიკი. ვარჯიშის ძირითად ნაწილში ფიზიკური დატვირთვები მიმდინარეობდა ორგანიზმისათვის სასიცოცხლო ფუნქციების (პულსი, სუნთქვა) მონიტორინგით შემდეგ ტრენაჟორებზე:

- ციკლური (სარბენი ბილიკი, ველო, ველოთხილამური, სტეპერი)
- ძალისმიერი (მუცლის პრესის, ხერხემლის სამასაჟო სკამი, კომბინირებული)
- სამაგიდო სპორტული თამაშები (მაგიდის ჩოგბურთი, მაგიდის ფეხბურთი)
- ვიბრომასაჟორები

უშუალოდ ვარჯიშამდე და მის მერე ხდებოდა თითოეული პაციენტისათვის სისხლში გლუკოზის დონის სავალდებულო განსაზღვრა.

ასოციაცია ანგარიშებს ყოველთვიური პროგრამული დანახარჯების შესახებ წარადგენს ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოში მათ მიერ დადგენილი ფორმით.

2. ჩვენი ასოციაციის ჰუმანიტარული პროფილიდან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გავუწიოთ ჰუმანიტარული დახმარება დიაბეტით დაავადებულ საქართველოს მოსახლეობას, რისთვისაც ასოციაციას გააჩნია ჰუმანიტარული ინსულინებისა და თანმხლები საანალიზო ტექნიკური საშუალებების გარკვეული მარაგი. ჰუმანიტარული დახმარების გაცემა ასოციაციაში რეგისტრირებულია სათანადო წესით. ასოციაციას აქვს მცირე შემოსავალი დეპოზიტზე განთავსებული თანხებიდან და დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის წევრები იხდიან ყოველწლიურ საწევროს. საწევროების, კერძო შემოწირულობების და დეპოზიტის პროცენტების თანხა ხმარდება ასოციაციის მმართველობით ხარჯებსა და ასოციაციის მძიმე სოციალური მდგომარეობის წევრების (დაბადებიდან უნარშეზღუდული პირები) მცირე მატერიალურ დახმარებებს.

სრული საფინანსო ინფორმაციისათვის იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები, რომლებიც წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია

ბ ა ლ ა ნ ს ი

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2014	2015	
	აქტივები			
	გრძელვადიანი აქტივები			
	ძირითადი საშუალებები	2291686,21	2203968,35	
	ინვესტიციები			
	სხვა გრძელვადიანი აქტივები			
	მიმდინარე აქტივები			
	მარეგულირებელი მარაგი	121514,65	203565,41	
	დებიტორები	53617,68	72812,08	
	ავანსები	9076,39	1953,64	
	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	500188,47	653745,58	
	სულ აქტივები	2976083,40	3136045,06	
	ფონდები და ვალდებულებები			
	ფონდები			
	შეუზღუდავი ფონდი	2297961,57	2391450,21	
	დროებით შეზღუდული ფონდი	612551,46	655711,97	
	მუდმივად შეზღუდული ფონდი	52199,43	75676,92	
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
	გრძელვადიანი სესხები			
	საპენსიო ანარიცხები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
7	კრედიტორები	13370,94	13205,96	
	მოკლევადიანი სესხები			
	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			
	სულ ფონდები და ვალდებულებები	2976083,40	3136045,06	

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში

№№	შემოსავლები	2015	2014
1	ფონდების გადატანა		200836,87
3	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი(ძირ.საშ)	13607,81	1525
4	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი(მკურნეობა,მარაგები)		
5	შემოწირულობები	0	
6	სხვა შემოსავლები	751768,62	617900,64
7	საბრუნავო შემოსავლები	22633,82	1835,84
8	შემოწირულობები არაფულადი სახით		
	სულ შემოსავლები	**788010,25**	**822098,35**
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი		
2	II პროექტის ხარჯი		
3	III პროექტის ხარჯი	694521,66	598197,74
4	პროექტების მხარდაჭერის ხარჯი		
5	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (ე/სხვ)		
	სულ ხარჯები	**694521,66**	**598197,74**
	მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნაშერი/ დეფიციტი)	**93488,59**	**223900,61**
	განსაკუთრებული მუხლები		
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***93488,59***	***223900,61***
	II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში		
	შემოსავლები		
1	შემოსავალი ინვესტიციიდან		
2	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი	95150,00	48400
3	საწყისო შენატანები	2388,00	1836
4	საბრუნავო შემოსავლები	25820,02	11536,2
	სულ შემოსავალი	**123358,02**	**61772,2**
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი		
2	II პროექტის ხარჯი	80197,51	47405,74
3	III პროექტის ხარჯი		200836,87
	სულ ხარჯები	**80197,51**	**248242,61**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***43160,51***	***-186470,41***
	III. მუდმივი შეზღუდული ფონდების ნაწილში		
	შემოსავლები		
1	სხვა შემოსავალი		
2	შემოსავალი არაფულადი სახით	378072,20	254332,38
	სულ შემოსავალი	**378072,20**	**254332,38**
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი	354594,71	282899,3
	სულ ხარჯები	**354594,71**	**282899,3**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***23477,49***	***-28566,92***

◎ მთავარი დარგი

მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობა

2016 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მასპინძლობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებს — აკადემიის პრეზიდენტს, აკად. გ. ალექსიძეს, ვიცე-პრეზიდენტს, აკად. გ. ჯაფარიძეს, სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნებს — აკადემიკოსებს გ. მარგველაშვილს, რ. მახარობლიძეს, ზ. ცქიტიშვილს, ჯ. გუგუშვილს, ო. ქეშელაშვილს, რ. ჩაგელიშვილს, თ. ყურაშვილს, პრეზიდენტის მოადგილეს ა. გიორგაძეს და პრეზიდენტის თანაშემწეს თ. ეპიტაშვილს.

მემორანდუმის ხელმოწერისას

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. დანელია, მინისტრის მოადგილეები ი. ნოზაძე, ლ. დავითაშვილი, გ. ცოფურაშვილი, დ. გალეგაშვილი, მინისტრის მრჩევლები და სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები.

შეხვედრის მიზანი იყო თანაშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის, რამაც უნდა უზრუნველყოფს მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა სამინისტროს დეპარტამენტებს, საქვეუწყებო დაწესებულებებსა და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს რამაც უნდა უზრუნველყოს მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა სამინისტროს დეპარტამენტებს საქვეუწყებო დაწესებულებებსა და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს შორის წარმოებისა და მეცნიერების წინაშე მდგომი ამოცანების ერთობლივად გადაწყვეტაში. მემორანდუმის მიხედვით ორივე უწყება მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემუშავებაში, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში, აგრარული პოლიტიკითა და სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმების შედგენაში, დარგობრივი განვითარების პროგრამების შედგენისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებაში, რეგიონების სამეურნეო-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით მაღალი ტექნოლოგიების გავრცელების შესაძლებლობების დადგენაში და ა.შ.

მეცნიერებისა და დარგობრივი სამინისტროს თანამშრომლობის სფეროები და ფორმებია: დეგრადირებული მიწების აღდგენისა და კონსოლიდაციის შესახებ რეკომენდაციების მომზადება, მასობრივი მწარმოებლების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების სხვა სფეროების ოპტიმიზაციის, ინტეგრირებული მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბების, კოოპერატივების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, დარგობრივი პროგრამების შედგენისა და განხილვაში ერთობლივი მონაწილეობა, ხელშეკრულების გაფორმება სამინისტროსა და აკადემიას შორის აკადემიის ბაზაზე ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ, სამინისტროსა და აკადემიის წლიური სამუშაო გეგმების ურთიერთგაცვლა, აკადემიის მიერ მომზადებული და რეცენზირებული აგროწესების, რეკომენდაციების და სხვა სასწავლო და სახელმძღვანელო ლიტერატურის გამოცემა, სამინისტროსა და აკადემიის ვებგვერდზე ერთობლივი ღონისძიებების შესახებ მასალების გაცვლა.

მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერიდან ხუთი წლის განმავლობაში, რომლის გაგრძელება შესაძლებელია ორივე მხარის მიერ თანხმობის შემთხვევაში.

მხარეების მიერ მემორანდუმის ძირითადი დებულებების გაცნობის შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს წარმომადგენლებმა და აკადემიის მეცნიერებმა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ.

სალომე კიკნაველიძე,
აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის პრესსამსახური

◎ ინფორმაცია

საქართველო „ევროპა ნოსტრას“ წევრი გახდა

კულტურის სამინისტროს ცნობით ქვეყანას საშუალება მიეცემა აქტიურად ჩაერთოს „ევროპა ნოსტრას“ საქმიანობაში — მიიღოს კონსულტაციები კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ყოველწლიურად დაესწროს და ჩაერთოს ევროპული კულტურული მემკვიდრეობის კონგრესში, ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ევროპაში. საქართველო „ევროპა ნოსტრასგან“ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისა და დაცვის მიმართულებით, საუკეთესო გამოცდილებას მიიღებს.

კულტურის სამინისტრო ამ საკითხზე უკვე რამდენიმე თვეა აქტიურად მუშაობს; 2015 წლის დეკემბერში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი „ევროპა ნოსტრას“ ვიცე-პრეზიდენტს პიეტ იასპარს შეხვდა, რომელთანაც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრა.

„ევროპა ნოსტრამ“ საქართველოს ხელოვნების სასახლეს ჟიურის სპეციალური ჯილდო ნომინაციაში „რესტავრაციაკონსერვაციისთვის“ მიანიჭა.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი „ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის“ პროექტისათვის ევროკომისიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის „Europa Nostra“-ს პრიზის მფლობელი გახდა.

ᲧᲝ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲝ

◎ ისტორიის წახნაგები

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო...

კაცობრიობის ისტორია — ესაა ომების ისტორია, რომელთა მიზეზები, შესაძლოა, საკმაოდ საფუძვლიანი იყოს, მაგრამ საბაბი შეიძლება ნებისმიერი სისულელე გახდეს. ამას თვალნათლივ მოწმობს ის გარემოება, რომ „ტყუილად“ ჯერ არავინ არავის დასხმია თავს. ამით ომები ბანალურ ყოფით ეზოს ჩხუბებს ჰგვანან, რომლებიც არასწორად გაფენილი სარეცხის, ზოგჯერ ბავშვების კინკლაობით და მსგავსი წვრილმანი საბაბით იწყება ხოლმე.

ბოლონიასა და მოდენას ომი 1325-47 წ.წ.

გველფების (რომის პაპების მომხრეთა) და გიბელინების (გერმანელი იმპერატორების მომხრეთა) 300-წლიან ომში, ბოლონიის მოქალაქეები პირველთა მომხრენი იყვნენ, მოდენასი — მეორეთა. 1325 წელს ერთერთმა დაქირავებულმა ჯარისკაცმა პატრონის შეცვლა გადაწყვიტა და ბოლონიიდან მოდენაში გაიქცა, თან...ვედროც გაიყოლა. ბოლონიის ხელისუფლებამ ქონების უკან დაბრუნება მოითხოვა, რაზეც მოდენას თავკაცებმა ელჩებს სიცილი დააყარეს. ომის საბაბიც ეს გახდა. ზოპოლინოს ბრძოლაში ერთმანეთს 22 ათასი და მხოლოდ 7 ათასი მოდენელი დაუპირისპირდა, რომლებმაც მოულოდნელად სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ის ავბედითი ვედრო კი ახლაც მოდენას მუზეუმში ინახება (!).

ომი ავსტრიის მემკვიდრეობისთვის 1740-48 წ.წ.

იმ დროს ევროპაში ეს ყველაზე დიდი კონფლიქტი იმით დაიწყო, რომ ინგლისელი მეზღვაური რობერტ ჯენკინსი 1738 წლის 19 ოქტომბერს თემთა პალატის სხდომაზე ბოთლით მივიდა, რომელშიც... მისივე ყური ეგდო. აღმოჩნდა, რომ ჯენკინსს ყური ესპანელმა კაპიტანმა ხულიო ფანდინიომ მოკვეთა, რომელმაც კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი ინგლისური გემი იგდო ხელთ. ყურს რომ აჭრიდა, ესპანელს თითქოს უთქვამს: „ეს ყური შენს მეფე ჯორჯს მიუტანე და გადაეცი, რომ მასაც ეს დღე მოელის, თუკი კონტრაბანდაზე დავიჭერ“. ამპუტაცია 1731 წელს მომხდარა და მთელი 8 წლის მანძილზე ჯენკინსი ყურს თან დაატარებდა. მხარეებს აშკარად ომი ეწადათ, ამდენად მეზღვაურის მოკვეთილი ყური მშვენიერი საბაბი გამოდგა.



საფრანგეთის მიერ ალჟირის ოკუპაცია 1830 წელი

ჰუსეინ იბნ ჰუსეინი, იმ დროს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ალჟირის უკანასკნელი ბეი, სამიდღემჩიო მმართველი გახლდათ, რომელმაც 1827 წელს ერთობ წინდაუხედავი საქციელი ჩაიდინა: საფრანგეთის კონსულ დევალთან „საქმის გარჩევისას“ იგი თანამოსაუბრეს... ხელით შეეხო. უფრო სწორად, ხელი კი არა, სირაქლემის ნაკრტენების მარაო მოუთათუნა. ბოდიშის მოხდა მან საკუთარი ღირსების შეურაცხყოფად მიიჩნია, თანაც ზურგს თურქეთის ჯარი და საზღვაო ძალები უმაგრებდნენ. მაგრამ იმ დროს ევროპა წყენას არავის ჰპატიობდა, 3 წელიწადში ალჟირი თურქეთის კუთვნილება აღარ იყო და საფრანგეთის კოლონიად იქცა.

ომი საფრანგეთსა და მექსიკას შორის 1838-39 წ.წ.

მექსიკა, რომელმაც ესპანეთისგან დამოუკიდებელი 1821 წელს გახდა, „ახალგაზრდა დემოკრატიის ჭაობში იხრჩობოდა“ — არჩევნების გაყალბება, საკუთრების ხელყოფა, პარლამენტისთვის თოფის დაშენა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მორიგი გადატრიალების დროს დამშეული ოფიცრები ფრანგი ემიგრანტის რეგონტელის საკონდიტროში შეიჭრნენ და... 14 კრუასანი ფულის გადაუხდელად წაიღეს. პროტესტის პასუხად კი მთელი მაღაზია დაარბიეს. რეგონტელი ხელისუფლებას 10 წლის მანძილზე უშედეგოდ უჩიოდა, ბოლოს კი საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპს მიმართა, რომელმაც მექსიკას... 600 ათასი პესოს ანგარიში წარუდგინა. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროს მუშის დღიური საშუალო გამომუშავება ერთი პესო იყო, ამ თანხის გადახდაზე მექსიკამ უარი განაცხადა. მაშინ საქმეში საფრანგეთის ფლოტი ჩაერთო — ადმირალმა შარლ ბოდენმა ქვეყნის ყველა ნავსადგური ალყაში მოაქცია, დესანტი გადასხა და ქალაქი ვერაკრუსი დაიკავა. მექსიკას ფულის გადახდა აიძულეს და ფუნთუშებისათვისაც შური იძიეს.

ნინო ალექსანდრია.

◎ რაგბი

ხუთოსანთა დუბლი

ევროპის ერთა თასი
„დინამო არენა“, 19 მარტი, 2016
საქართველო-რუმინეთი 38:9

საქართველო: მერაბ კვირიკაშვილი (გიორგი აფციაური, 57), გიორგი ფრუიძე, დავით კაჭარავა, თამაზ მჭედლიძე (ლაშა მალაღურაძე, 63), სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, ვასილ ლობჟანიძე (გიორგი ბეგაძე, 51), მიხეილ ნარიაშვილი (კახა ასეიშვილი, 55), ჯაბა ბრეგვაძე (შალვა მამუკაშვილი, 55), ანტონ ფეიქრიშვილი (ლევან ჩილაჩავა, 50), გიორგი ჩხაიძე (კოტე მიქაუტაძე, 46), გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, ბექა გორგაძე (ლაშა ლომიძე, 50),

6 ლელო: ფეიქრიშვილი (2), თოდუა, ფრუიძე, ნემსაძე, ასეიშვილი; 4 გარდასახვა: კვირიკაშვილი (3), მალაღურაძე.

რუმინეთი: იონუც ბოტეზატუ, ფლორინ იონიცა, პაულ კინიკინილაუ, ფლორინ ვლაიკუ, ადრიან აპოსტოლი (მარიან ისპირი, 66), ჯოდი როუზი (ოვიდიუ მელნიჩუკი, 75), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტუდორელ ბრატუ, 61), კონსტანტინ პრისტავიცა (მიხაი დიკო, 72), ეუჯენ კეპეცინა (ანდრეი რედოი, 61), პაულ რუსუ (კოსმინ მანოლე, 50), ვალენტინ პოპირლანი, იოჰან ფან ჰირდენი, სტელიან ბურჩა, ვიორელ ლუკაჩი (მარიუს ანტონესკუ, 46), ანდრეი გორჩოაია.

3 საჯარიმო: ვლაიკუ.

მსაჯი: ტიუალ ტრენინი (საფრანგეთი).

მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს — ეს მათი მე-20 შეხვედრა იყო (წინა ცხრამეტში ქართველებმა 10-ჯერ იმარჯვეს, რუმინელებმა — 8-ჯერ და მხოლოდ ერთი პაექრობა დამთავრდა ფრედ), თანაც ერთა თასის წლევანდელ გათამაშებას ისინი ოთხოთხი მოგებითა და თანაბარი ქულებით ლიდერობდნენ, ამიტომ მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად მეხუთე ტურის მატჩს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. შერკინება ჩვენი ნაკრების შეტევებით დაიწყო. სტუმრებმა მასპინძელთა მძაფრ იერიშებს ალღო ვერ აუღეს და მე-3 წუთზე დაჯარიმდნენ. „ბორჯღალოსნებმა“ ბურთი გვერდით ხაზს იქით გადაიტანეს, დერეფნიდან მოლი ააგორეს და ფეიქრიშვილმა პირველი ლელო გაიტანა. კვირიკაშვილმა რთული პოზიციიდან უნაკლოდ გარდასახა. ამგვარმა დასაწყისმა კარპატელებს ცივი შხაპი გადაავლო. 10 წუთის შემდეგ ვლაიკუმ ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 3:7. რუმინელთა ამ გამოფხიზლებას „ბორჯღალოსნების“ გუნება-განწყობილებასა და შეტევების სიმწვავეზე გავლენა არ მოუხდენია. უფრო მეტიც — ქართველი მორაგბეების იერიშები უფრო აგრესიული და სახიფათო გახდა — შესვენებამდე მათ კიდევ ორი ლელო გაიტანეს. ტაიმი ჩვენებმა 19:9 მოიგეს. შეხვედრის მეორე ნახევარშიც საქართველოს ნაკრების ტაქტიკურ, ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაში უპირატესობა აშკარა იყო, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა: ქართველებმა რუმინელებს რეკორდული სხვაობით — 38:9 მოუგეს და ერთა თასთან ერთად ანთიმოზ ივერიელის თასიც კიდევ ერთხელ დაიტოვეს.

საგულისხმოა, რომ ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ცხრილში ბოლო საფეხური პორტუგალიის ნაკრებმა დაიკავა, რომელიც გაისად ჩვენს დივიზიონში ადგილს ბელგიის ნაკრებს დაუთმობს. გერმანიის ეროვნული გუნდი პირველია, რომელმაც დაწინაურების შემდეგ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა.

ლინ ჰოულსი, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „საქართველოს ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა. მეტოქემ ყველა ასპექტში დაგვჯაბნა: დერეფანში, შერკინებაში, გაშლილ თამაშში. სამწუხაროდ, რუმინეთის ნაკრების თამაშში პოზიტიური ვერაფერი დავინახე“.

მილტონ ჯეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ჩვენ ყველანი ბედნიერები ვართ: მორაგბეები, მწვრთნელები, მაყურებლები... სასიხარულოა, რომ ასეთი ანგარიშით გავიმარჯვეთ. ივნისისა და ნოემბრის ტესტებზე ახალ მორაგბეებს გამოვცდით“.

შალვა სუთიაშვილი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი: „მეამაყება, რომ დღეს სტადიონზე ასეთი გარემო იყო შექმნილი. მადლობა თითოეულ ადამიანს ქომაგობისთვის. იტალიელთა კაპიტან სერჯიო პარისეს უთქვამს, ქართველებისთვის ექვსი ერის კარის გახსნა ნაადრევად მიმაჩნიაო. თუ ვინმეს ჩვენი შესაძლებლობები ეეჭვება, ჩამოვიდეს და გვეთამაშოს“.

ერთა თასი
V ტური
გერმანია-ესპანეთი 17:17, პორტუგალია-რუსეთი 21:53.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
საქართველო	5	5	0	0	+155	24
რუმინეთი	5	4	0	1	+83	19
რუსეთი	5	3	0	2	+13	14
ესპანეთი	5	1	1	3	-4	9
გერმანია	5	1	1	3	-109	7
პორტუგალია	5	0	0	5	-138	1

* * *

ევროპის ჩემპიონატი, U18
მეოთხედფინალი
საქართველო-რუმინეთი 49:10, საფრანგეთი — ესპანეთი 56:14, პორტუგალია — გერმანია 64:5, ბელგია — რუსეთი 8:6.
ნახევარფინალი
საქართველო — პორტუგალია, საფრანგეთი — ბელგია.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი ჩინეთში პირველია

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა წარმატებით ითამაშა ჩინურ გუანჯოუში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 5000 ევრო), ერთეულებში მე-7 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა სტარტზე სლოვენიელი ბლაზ როლა დაჯაბნა — 5:7, 7:5, 6:4, მერვედფინალში მარკო ჩიუდინელის (შვეიცარია) აჯობა — 7:5, 6:0, მერე ხორვატ ფრანკო სკუგორს მოუგო — 6:7, 6:4, 6:2, ნახევარფინალში მე-2 რეიტინგის მქონე დუდი სელა (ისრაელი) დაამარცხა — 6:7, 6:4, 2:0 (მეტოქემ თამაშის დასრულება ვერ შეძლო), გუშინ გადამწყვეტ პაექრობაში კი ლუკას ლაცკოს (სლოვაკეთი) სძლია — 6:1, 6:7, 7:5 და მთავარ პრიზთან ერთად 90 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა, რითაც 10 საფეხურით დაწინაურდა და ახლა მსოფლიო კლასიფიკაციაში 107-ე საფეხურზეა. წყვილთა ტურნირში ბასილაშვილმა ავსტრიელ მაქსიმილიან ნოიკრისტთან ერთად სტარტზე მარკო ჩიუდინელი (შვეიცარია) და თარო დანიელი (იაპონია) დაამარცხა - 7:5, 2:6, 15:13, მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილ მაო-ქსინ გონსა (ჩინეთი) და ჩუ-ჰუან იის (ტაივანი) აჯობა — 7:6, 6:4, ფინალის საგზური კი მეწყვილის ტრავმის გამო ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტებს — სანჩაი და სონჩატ რატივატანებს (ტაივანი) უბრძოლველად დაუთმო.

ლექსო ცინცაძე

ოქსანა წინ მიიწევს

თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილებში რეიტინგი 390 ქულით გაიმდიდრა: იგი იტალიელ სარა ერანისთან ერთად ინდიანა უელსის პრესტიჟულ ტურნირში (საპრიზო ფონდი 6.844.130 დოლარი) მონაწილეობდა: მეორე წრეში უკრაინელებს — კატერინა ბონდარენკოს და ოლგა სავჩუკს მოუგეს — 7:6, 5:7, 10:8. შემდეგ ოქსანამ და სარამ მეოთხე ნომრად განთესილი ჩეხები — ანდრეა ჰლავაჩკოვა და ლუსი ჰრადეცკა დაჯაბნეს — 3:6, 6:3, 10:5, ნახევარფინალში კი იულია გორგესსა (გერმანია) და კაროლინა პლიშკოვასთან (ჩეხეთი) დამარცხდნენ — 4:6, 3:6.

თამაზ პატარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ძნელია გაიხსენო გულშემატკივარმა, უკანასკნელად როდის გაგვაწბილეს ასე ჭაბუკმა თანამემამულეებმა.

საუბარია თბილისში დასრულებულ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდზე, სადაც ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა გუნდმა სამივე (!) შეხვედრა წააგო.

ჰოდა, ამიტომაც კითხულობდნენ, ალბათ, ჩვენებურთა ქომაგები — რას ერჩოდნენ „ჯვაროსანთა“ ყოფილ დამრიგებელ გოჩა ავსაჯანიშვილს, რომელმაც აქამდე მოიყვანა შეგირდებიო.

ისე, მართლაც საინტერესოა, რამ გამოიწვია ეს ნაბიჯი.

III ტური. საქართველო — იტალია 0:1, რუსეთი — ბოსნია 2:1.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: იტალია, ბოსნია, რუსეთი — 6-6, საქართველო — 0 ქულა.

ასე რომ, ბაქოში მაისში დაგეგმილ ფინალურ ტურნირში ჩვენი კვარტეტიდან ითამაშებენ იტალიელი და ბოსნიელი ყმაწვილები.

* * *

იტალია. „ტორინო“ — „იუვენტუსი“ 1:4, „ნაპოლი“ — „ჯენოა“ 3:1, „რომა“ — „ინტერი“ 1:1, „მილანი“ — „ლაციო“ 1:1.

ესპანეთი. „ვილიარეალი“ — „ბარსელონა“ 2:2, „ხიხონი“ — „ატლეტიკო“ 2:1, „რეალი“ — „სევილია“ 4:0, „ვალენსია“ — „სელტა“ 0:2.

ინგლისი. „კრისტალ პალასი“ — „ლესტერი“ 0:1, „ტოტენჰემი“ — „ბორნმუთი“ 3:0, „ევერტონი“ — „არსენალი“ 0:2, „სიტი“ — „მანჩესტერი“ 0:1.

გერმანია. „კიოლნი“ — „ბაიერნი“ 0:1, „აუგსბურგი“ — „ბორუსია“ 1:3.

საფრანგეთი. „პსჟ“ — „მონაკო“ 0:2.

გიორგი ფოთაძე

◎ კრივი

ოქტეტის ორი ხმა

მწვრთნელების — ბეჟან ჭიჭინავას და ილია ტლაშაძის (მსაჯი ედუარდ მარდანოვი) ხელმძღვანელობით საქართველოს რვა წარმომადგენელი — სახილ ალახვერდოვი (49კგ, თბილისი), ოთარ ნავერიანი (56, მარნეული), გიორგი ჩარგაზია (60, ფოთი), ესკერხან მადიევი (64, თბილისი), გიორგი მანჯავიძე (69, ფოთი), სტეფანე მხითარიანი (75, თბილისი), ნიკოლოზ ბეგაძე (91, რუსთავი) და გიორგი ჭიღლაძე (+91, საჩხერე) - მონაწილეობდა რუსულ ანაპაში გამართულ ახალგაზრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში (სულ 17 ქვეყნის სპორტსმენები ცდიდნენ ძალებს). მათგან ორი გამოირჩა: თანატოლებში 2015 წლის

ევროპის ჩემპიონმა ნიკოლოზ ბეგაძემ 91 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზედიზედ სამ მასპინძელს აჯობა: არტიომ ფიოდოროვს, ბოგდან რაკიჩსა და ალექსანდრ შრამკოს, რაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად საკმარისი გამოდგა.

მძიმეწონოსანმა გიორგი ჭიღლაძემ პირველ პაექრობაში აშხატ ულანულუ (ყაზახეთი) ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში კი გურგენ ჰოვანესიანთან (სომხეთი) წააგო და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. დანარჩენი ჩვენი მოკრივეები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

გივი გაგუა

◎ სპეცსამსახურების ისტორიიდან

„პიროვნისიმ!“

ასე უწოდა ინგლის-ამერიკის სპეცსამსახურების ცნობილმა მკვლევარმა და მწერალმა ფილიპ ნაითლიმ ყველა დროის უდიდეს საბჭოთა სუპერაგენტს, ინგლისელ კიმ ფილბის. სავსებით დამსახურებულადაც: მას დიდი ბრიტანეთის დაზვერვა სის-ში (SIS) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თანამდებობა ეკავა და თავისი როლი ისეთი აღმაფრენით შეასრულა, რომ, როცა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მაღალი თანამდებობის პირებს მის მიმართ საბჭოთა კავშირის აგენტობის ეჭვი გაუჩნდათ, იგი თავად... ინგლისის პრემიერ-მინისტრმა დაიცვა!

კიმ ფილბის საარქივო დოსიეს საიდუმლოების გრიფი ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ ორი წლის წინათ მოხსნა.

იგი ამ სპეცსამსახურის მეორე პირი იყო (და ლამის თავკაციც გახდა!), რომლის საქმე... საბჭოთა ჯაშუშების გამოვლენა-დაკავება იყო, თუმცა კი, თუკი ვინმე იყო დასაჭერი, თავად ფილბი გახლდათ. **ის მსოფლიოში ერთადერთი კაცია, რომელმაც უშუალოდ დაპირისპირებული მხარეებისგან ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ჯილდო მიიღო: 1945 წელს მას ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მეფე ჯორჯ VI გადასცა, 1947 წელს კი, იოსებ სტალინის ბრძანებით, იგი წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული, თანაც ორივე — დაზვერვაში შეტანილი წვლილისთვის!**

კიმ ფილბი მოსკოვს ფასდაუდებელ ცნობებს აწვდიდა, თანაც ყოველგვარი ანგარების გარეშე, რადგან თხემით ტერფამდე კომუნისტი იყო. როცა კი სტალინს მოახსენეს, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარზე ჯაშუშების გაუვნებელყოფის წარმატებულ ოპერაციაში ფულის მიღებაზე ფილბი უარს აცხადებსო, უმაღლესმა მთავარსარდალმა წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების გარდა, მისთვის საგანგებო ძვირფასი საჩუქრის დამზადების განკარგულება გასცა. საუკეთესო საბჭოთა იუველირებისა და მოქანდაკეების მიერ ხის ძვირფასი ჯიშებიდან დამზადებული და ოქროთი, პლატინითა და ბრილიანტებით ინკრუსტირებული არარატის მთის ბარელიეფი ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუში იყო. სხვათა შორის, სწორედ ეს ძვირფასი საჩუქარი ლამის საბედისწერო აღმოჩნდა სუპერაგენტისთვის, რის შესახებ ქვემოთ გიამბობთ...

კიმ ფილბის წყალობით იყო, რომ ინგლისისა და ამერიკის სპეცსამსახურების უამრავი უმნიშვნელოვანესი საიდუმლო ოპერაცია სამარცხვინოდ ჩაფლავდა, მაგალითად, ალბანეთში საჰაერო დივერსანტების გადასხმა. 1949 წელს მათ გადაწყვიტეს ამ ქვეყნის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ენვერ ხოჯას განადგურება, რის შესახებაც ფილბიმ მოსკოვს შეატყობინა. მისი საიდუმლო მოხსენების წაკითხვის შემდეგ სტალინს ცნობილი ლურჯი ფანქრით წაუწერია: „დესანტები მიწაზე დაშვებამდე განადგურდეს!“ ცხადია, მისი ბრძანება სიტყვასიტყვით შეასრულეს — თითოეულ მედესანტეს მიწაზე ორი-სამი საბჭოთა მეავტომატე ელოდა...

დაახლოებით იმ დროს ვაშინგტონში კიმ ფილბი ჩავარდნის პირას იყო, მაგრამ, ბედზე... სასიყვარულო კავშირმა იხსნა: მასზე შეყვარებულ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მშიფვრელ ქალიშვილს წამოსცდა, რომ გაშიფრული საბჭოური საიდუმლო მასალები მიანიშნებდნენ, რომ „თხუნელა“ (სპეცსამსახურის გადაბირებული ოფიცერი) ბრიტანეთის საგარეო საქმეთა

სამინისტროში მუშაობდა დიდ თანამდებობაზე. ფილბი მიხვდა, რომ მისი ოთხეულის წევრები საფრთხეში იყვნენ, რის შესახებ დაუყოვნებლივ მოსკოვს შეატყობინა. აგენტები სასწრაფოდ საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს და უცხოელთათვის დახურულ ქალაქ კუიბიშევში გადამალეს. ამდენად, ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ ეჭვი უკვე თავად ფილბიზე აიღეს. იგი სამსახურიდან დაითხოვეს, დაკითხვებს საქმის ყველაზე დიდი სპეციალისტები აწარმოებდნენ. მაგრამ, ღალატის მამხილებელ საბუთებს ვერ მიაგნეს, ამიტომაც ... სამსახურიდან დათხოვნის გამო დიდძალი ფულიც გადაუხადეს.

1954 წელს კი მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდა ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში საბჭოთა კავშირის საელჩოს მშიფრავი ვლადიმერ პეტროვი, რომელმაც კვლავ დაადო ხელი ფილბის, როგორც საბჭოური ჯაშუშური ქსელის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს. დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის დეპუტატებმა ამის თაობაზე სადეპუტატო შეკითხვით მიმართეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, რომელმაც საჯაროდ უარყო ყველა ეჭვი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელობა განრისხდა, მაგრამ, თავის მხრივაც იძულებული გახდა ფილბი გაემართლებინა. ის კი ამის შემდეგ ბეირუთს გაემგზავრა, როგორც... „ობსერვერისა“ და „ეკონომისტის“ კორესპონდენტი ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ, ჟურნალისტური მოღვაწეობა მხოლოდ „ქოლგა“ იყო — იგი კვლავ დააბრუნეს ბრიტანეთის დაზვერვაში!

1963 წელს სპეცსამსახურები კიდევ ერთხელ შეუდგნენ საიდუმლო მზადებას ფილბის დასაპატიმრებლად, მაგრამ „ჟურნალისტი“ მოულოდნელად გაქრა. **ეს გამოცანა, ალბათ, ასეთადვე დარჩებოდა, რომ არა... ნიკიტა ხრუშჩოვი. მოსკოვში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის საელჩოში მიღებაზე გვარიანად შეზარხოშებულმა მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ გადაწყვიტა ფილბისთვის პოლიტიკური თავშესაფრისა და მოსკოვური ჩაწერის მიცემა (!)** ბრიტანეთის დაზვერვა ამ ცნობას ეჭვით შეხვდა, რადგან იქ კარგად ახსოვდათ მთვრალი ხრუშჩოვის ბოდვები. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში კი ეს განცხადება ყურად იღეს: ფილბი საბჭოთა კავშირისთვის მუშაობდა და ახლაც იქ იმალებაო. **სწორედ აქ შეასრულა საბედისწერო როლი სტალინის საჩუქარმა:** ბეირუთში ჩასული ბრიტანული კონტრდაზვერვის — MI-5-ის კომისიის წევრებმა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს დაკარგული „ჟურნალისტის“ ბინა და პირადი ნივთიები. მათ, მართალია, ფილბის საბჭოური ჯაშუშობის მამხილებელი საბუთები ვერ ნახეს, მაგრამ უკვე ბინიდან გასვლისას ხელოვნებათმცოდნე ექსპერტმა ქალბატონმა კიდევ ერთხელ შეხედა სტალინის ნაჩუქარ ბარელიეფს. თავად ფილბი სტუმრებს ყოველთვის ეუბნებოდა, რომ ანტიკვარიატი სტამბოლში შეიძინა. როცა ეს „ძველებური ნივთი“ უფრო გულდასმით შეისწავლა, ექსპერტმა მაინც მიაგნო ფილბის ორმაგი თამაშის არაპირდაპირ მამხილებელ საბუთს: საქმე ის არის, რომ არარატის მთა ისეა გამოსახული, რომ ამის დანახვა მხოლოდ სომხეთის ტერიტორიიდანაა შესაძლებელი და არა თურქეთიდან...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

საქართველოს ნოტარიუსის ხატია შერგელაშვილის
განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, გახსნილია 2002 წლის 12 აგვისტოს გარდაცვლილი ნოდარ სირაძის სამემკვიდრეო საქმის წარმოება. ნოდარ სირაძის სამკვიდროზე უფლების მქონე ყველა მემკვიდრეს უფლება აქვს გამოცხადდეს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №116-ში, საჯარო განცხადების თაობაზე პუბლიკაციიდან 10 დღის ვადაში.

მონატრება

ნინო ნაცვლიშვილი

40 დღე უშენოდ. მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერია ამ ქვეყნად. ძალიან მენატრები ჩემო სიხარულო, ჩემო გაუნელებელო ტკივილო, ჩემო ერთადერთო **ნინიკო**.

ყოველმხრივ რჩეული იყავი შვილო — ბუნებით, გარეგნობით, აღზრდით — ალბათ ამიტომაც გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს და თავისთან გიხმო მაღალმა ღმერთმა, სულით კიდევ უფრო აგამაღლა და ცათა სასუფეველში დაგამკვიდრა... ეს განშორება, ახლა მხოლოდ გადასვლაა სრულყოფილი ცხოვრებისაკენ... და ახლა მხოლოდ ესღა დამრჩა ნუგეშად.

ჩემო ნინიკო, ჩემო საყვარელო, ლამაზო, ჭკვიანო, ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წლების მომნიჭებელო, ძალიან გვაკლია შენი სიხარულით სავსე ღიმილი, სითბო და სიყვარული ყველას მიმართ. არ გვინელდება ტკივილი, რომელიც დროსთან ერთად ღრმად იდგამს ფესვებს. ენატრები ყველას — მამას, რომელსაც ჯერაც ვერ გაუცნობიერებია რეალობა, ენატრები შენ ჭკვიან შვილებს — სანდროს და სალომეს, შენს მეუღლე „ბათქუნას“, როგორც შენ ეძახდი, რომელიც ვერ ეგუება უშენობას, დაგეძებს ყველგან, გელოდება, როდის შემოაღებ შენეული ღიმილით კარებს; ენატრები კლასელებს, თანაკურსელებს, უახლოეს ნათესავებს, ენატრები და ჯერაც თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ შენ უახლოეს მეგობრებს ქეთას, თამუნას, სოფოს, თიკას, ლალის, ნინოს, ნატოს... ენატრები მარინას, შენს მაის...

ჩემთვის ჯერ კიდევ პატარავ, პროფესორო ნინო ნაცვლიშვილო, ძალიან ენატრები და აკლიხარ შენს თანამშრომლებს (ილიას უნივერსიტეტი), სიყვარულით გიხსენებენ შენი სტუდენტები... გული სტკივა შენ აღმზრდელ-ხელმძღვანელს პროფესორ დავით მიქელაძეს — „მის მარჯვენა ხელს“ — როგორც თვითონ გიწოდებდა.

სამაგალითო, ღირსეული ადამიანი იყავი შვილო, ამიტომაც ასე ღირსეულად დაგაფასა ყველამ; მადლობა მათ ზღვა ცრემლისთვის და ემოციებისთვის. უშენობა გვატყვია ყველას, შენს მონატრებას უსაზღვრო და გაუსაძლისი ტკივილი ახლავს თან, ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს; ზოგნი ამბობენ — მკურნალი ცრემლიაო... და მეც არ გაკლებ ცრემლებს ჩემო სიყვარულო.

მიყვარხარ, მენატრები, დიდხანს არ დაგტოვებ მარტო ჩემო ერთადერთო.

დამელოდე...

გულისტკივილით შენი დედიკო
ბელა ადამია

ქაბუკა ნიჟარაძე, რეზო ტაკიძე, შალვა მოსიძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ბადრი თოიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ „ჩემი მეგობრები“...

მსოფლიომ დაუნის სინდრომის დღე აღნიშნა

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის დღეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით, ტრადიციულად, საქართველოშიც გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება. კავშირი „ჩვენი ბავშვების“ ორგანიზებით, ვაკის პარკიდან მსვლელობა დაიწყო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან დასრულდა. აქცია-მსვლელობაში, რომლის დევიზია „ქრომოსომებს არ ითვლიან“, მონაწილეობას იღებდნენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები, მათი ოჯახები და სხვა მოქალაქეები.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საქველმოქმედო ღონისძიება — „მე და ჩემი მეგობარი“ გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მინისტრმა თამარ სანიკიძემ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეებს და მათ მეგობრებს უმასპინძლა. ღონისძიება პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა გააფორმეს.

ამ დღესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განცხადება გაავრცელა და დაუნის სინდრომთან დაკავშირებით არსებულ სტიგმებსა და ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითა. უჩა ნანუაშვილმა ამ პრობლემის მოგვარებაში სახელმწიფოსა და საზოგადოების როლს გაუსვა ხაზი.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. წლევანდელი საერთაშორისო სლოგანია „ჩემი მეგობრები - ჩემი გარემოცვა“.

◎ დედაქალაქი

მარცხენა სანაპიროზე მოძრაობა შეიზღუდება



ერთი კვირის განმავლობაში მარცხენა სანაპიროზე (ბარათაშვილის ხიდის ქვეშ) შეიზღუდება საავტომობილო მოძრაობა. როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, უნდა დადაბლდეს ასფალტის არსებული საფარი, რათა გაიზარდოს სიმაღლე ხიდსა და საავტომობილო გზას შორის და მაღალი ტვირთამწეობის მანქანებმა აღარ დაიზიანონ ხიდის ძირითადი კონსტრუქცია.

ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების მეორე ეტაპზე, ეწყობა ხიდის ქვეშ არსებული საფეხმავლო გადასასვლელიც.

ერთ დროს ქრისტეს საფლავის კლიტენიც გვეპყრა!

იმის მიუხედავად, რომ ჯვრის მონასტერი ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდათ, ასე მარტივი არ არის მისი გადმოცემის საკითხი...

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შეძენაზე საუბარი ნაციონალების დროს წამოიწყეს. იმ პერიოდში ჯვრის მონასტრის საკითხით ბადრი პატარკაციშვილი იყო დაინტერესებული. სხვათა შორის, პატარკაციშვილამდე ამ თემაზე სხვა ბიზნესმენებიც მუშაობდნენ, მაგრამ ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა ამ საკითხში ოდესმე ჩართული ბიძინა ივანიშვილი. ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი საქართველოში არასდროს არ კარგავს აქტუალობას.

2012 წელს იერუსალიმში უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გაემგზავრა, თუმცა, პარალელურად, მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც არ დაახანა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გამოსყიდვაზე სპეციალურად შექმნილი ჯგუფის შესახებ ამცნო საზოგადოებას. თავის მხრივ, წმიდა მიწიდან დაბრუნებულმა პატრიარქმა თავმდაბლობისკენ მოუწოდა მრევლს და ბრძანა, რომ „შეჩვევა იცის წმინდა მიწამ. ამ დროს ადამიანს ავიწყდება, რომ ის წმინდა მიწაა და ხშირად იქ ჩვეულებრივად იქცევა. წმინდა მიწაზე არის დიდი სიწმინდე და მასთან ერთად დიდი ბრძოლებიც. კეთილი და ბოროტი განსაკუთრებით იბრძვის წმინდა მიწაზე“.

ამიტომ უწმინდესმა დავით გარეჯელის თავმდაბლობის მაგალითი შეახსენა იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველ წელიწადს ჩადიან წმინდა მიწაზე, რაც არასწორია და განმარტა, უღირსად უნდა მიგვაჩნდეს ჩვენი თავი, რომ ასე ახლოს შევეხოთ სიწმინდეებს. უნდა გვახსოვდეს ჩვენი დიდი მამა დავით გარეჯელი, რომელიც ჩავიდა წმინდა მიწაზე და ღირსად არ ჩათვალა თავისი თავი, რომ ქალაქში შესულიყო.

გოლგოთა, ქრისტეს საფლავი, კლიტენი, ღვთისმშობლის საძვალე, ბეთლემის ღვთისმშობლის მონასტერი, ადამის საფლავი ქართველებს რომ ეკუთვნოდათ, ამას არაერთი უცხოური თუ ქართული წყარო ადასტურებს.

გადმოცემის თანახმად, ვახტანგ გორგასალსაც დაუდგამს ფეხი ქრისტეს მიწაზე, რაზეც ჯუანშერისეული „ვახტანგის ცხოვრება“ მოგვითხრობს.

არაერთი ტაძარი აგებულა წმიდა მიწაზე სწორედ ვახტანგ გორგასლის დროს და, თუ ჩვენმა წინაპრებმა არაბთა, მონღოლთა ბატონობის ჟამს, ანუ დაშლილი საქართველოს პირობებშიც შეინარჩუნეს იერუსალიმი, საქართველოს რუსეთთან შეერთებისას ველარ გადაიხადეს ოსმალთა ბეგარა და მიტოვებულ ეკლესიებს ბერძნები, ფრანცისკანელები და სხვები დაეპატრონენ.

თუმცა, მე-18 საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს, რომელიც სამჯერ სწვევია საქართველოს, ქართველებისგან წაუღია ჯვრის მონასტრის დასაბრუნებელი ვალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ თანხის გადახდის შემდეგ ბერძნებს ტაძარი უნდა დაეცალათ, მაგრამ, მოგვიანებით, გასაბჭოებული საქართველოს მემკვიდრეები ველარ ჩავიდნენ იერუსალიმში და ქონებაც დაკარგეს. ისე, ქართველებზე მეტად, რუსებს გასჩენიათ საქართველოს იერუსალიმური ქონების ხელში ჩაგდების სურვილი, თუმცა, მაინც ბერძნებს უმარჯვიათ.

თეოლოგი ლევან აბაშიძე აცხადებს, რომ ისტორიულად იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ, მაგრამ რა მოხდა მე-18 საუკუნეში, კანონიერად დავკარგეთ ეს მონასტერი თუ უკანონოდ, ეს უკვე ისტორიკოსების გასარკვევია. მთავარია ის, რომ დღეს ისრაელის კანონითაც და ნებისმიერი სხვა კანონითაც ეს მონასტერი ბერძნების ხელშია. ამიტომ აქ შესაძლებელია, მხოლოდ ბერძნებთან მოლაპარაკება, კეთილი ნება, რადგან ეს მათთვისაც დიდი სიწმინდეა.

მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ქართული ფრესკებია და ოდესღაც იგი ქართველებს ეკუთვნოდათ, ასე მარტივი არ არის მისი გადმოცემის საკითხი. ბერძნებმა კეთილი ნება უნდა გამოავლინონ, შეიძლება, თანხითაც დაინტერესდნენ. სხვათა შორის, ამერიკაში ბერძნებმა წმინდა ჯვრის სახელობის სემინარია სწორედ ჯვრის მონასტრის ანალოგიით გააკეთეს, ამიტომ ეს ბერძნებისთვისაც დიდი სიწმინდეა და აქ დელიკატური მიდგომაა საჭირო იმისთვის, რომ დათმონ ან გაყიდონ მონასტერი. მაგალითად, ახლა იტალიელები ამბობენ, რომ მონა ლიზა დაგვიბრუნეთო. არადა, მონა ლიზა ფრანგებს პატიოსნად აქვთ ნაყიდი და არავისთვის წაურთმევიათ, — აღნიშნა ლევან აბაშიძემ.

ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე განმარტავს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხი უპირველესად ჩვენი საპატრიარქოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს მოლაპარაკების საგანია და ჩვენთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„ისეთ წმინდა ადგილზე, როგორიც წმინდა ქალაქი იერუსალიმია, ყველა კონფესიას აქვს თავისი ეკლესიები. ქართველებს კი, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე არათუ ეკლესია გვქონდა, არამედ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტენიც გვეპყრა, ეს ყველაფერი დაკარგული გვაქვს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხით საქართველოს საპატრიარქოსთან კონსულტაციებს“.

მანანა ნოზაძე

◎ ინფორმაცია

საპატრულო ოპერაცია ბალხის პროვინციაში

ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბალხის პროვინციაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის „ბრავო“ ასეულის სამხედროებმა მოტორიზებული საპატრულო ოპერაცია ჩაატარეს. სამეთაურო რეკოგნოსცირების მიზნით განხორციელებული პატრულირება ქართული სწრაფი რეაგირების ძალების სამოქმედო რაიონის სამხრეთ და აღმოსავლეთ უკიდურეს ზღუდეებს მოიცავდა. ქართველი ჯარისკაცების გარდა საპატრულო ოპერაციაში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე გერმანული კონტინგენტიც მონაწილეობდა.

საპატრულო ჯგუფს ავღანეთში საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე ახლდა.

შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1982 წელს დაბადებული თენგიზ ა. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 14,4389 გრ ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რომელ ორგანოშია ყველაზე მეტი პარაზიტი?
— სახელმწიფო ორგანოებში.

* * *

პოლიციელი შუაღამისას ტრასაზე მანქანას აჩერებს:
— სერ, თუ გრძნობთ, რომ თქვენი მანქანა რვიანებს ხაზავს?
— დიახ, ოფიცერო. მაპატიეთ, მაგრამ რვა ჭიქა მაქვს დალეული.
— მაგრამ, სერ ეს ხომ არ გაძლევთ იმის საბაბს, რომ საჭესთან მეუღლე დასვათ?

* * *

თუ ქალი ამბობს, რომ შეყვარებულია, მას ან უყვარს, ან — არა, ან ადრე უყვარდა, ან იქნებ უბრალოდ არაადეკვატურია. სიტუაციის მიხედვითაა საჭირო ორიენტირება.

* * *

მობილურში საყვარლის ნომერი ჩავიწერე „საყვარლის“ სახელით. ჩემმა ცოლმა ჯერეოვნად შეაფასა ეს ხუმრობა, გაიცინა და არაფერი არ უკითხავს. კარგია, როცა ადამიანს იუმორის გრძნობა აქვს.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“!